

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი/
ადმინისტრაციულ გეგმირებათა ინსტიტუტი



საჯარო სამართლის ჟურნალი

1/2025



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი:

კობა ყალიჩავა (ასოც. პროფ., თსუ)

სარედაქციო საბჭო:

ბესარიონ ზოიძე (პროფ., თსუ)

გერდ ვინტერი (პროფ., ბრემენის უნივერსიტეტი)

გიორგი ხუბუა (პროფ., თსუ)

თამარ ზარანდია (ასოც. პროფ., თსუ)

ირაკლი ბურდული (პროფ., თსუ)

ირმა ხარშილაძე (პროფ., თსუ)

კრისტიან ფონ კიოლნი (პროფ., კიოლნის უნივერსიტეტი)

ლაშა ბრეგვაძე (პროფ., თსუ)

ლია შატბერაშვილი (ექსპერტი, თსუ)

მაია კოპალეიშვილი (პროფ., თსუ)

ნორბერტ ბერნსდორფი (პროფ., მარბურგის უნივერსიტეტი)

პაატა ტურავა (პროფ., თსუ)

ტექნიკური რედაქტორი:

ზურაბ ბიჭოლაშვილი

ყდის დიზაინი:

დავით მაისურაძე

ISSN 2720-8524

© იურიდიული ფაკულტეტი, თსუ, 2025

© ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი, თსუ, 2025

© შესაბამისი ავტორები, 2025

ვებგვერდი: <https://journalofpubliclaw.tsu.ge/>

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2025

სარჩევი

კონსტანტინე კორკელია	5
ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში და მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან	
გვანცა ბესელია	36
ეთიკის კოდექსი საქართველოს საჯარო სამსახურში: ფორმალური სამართლებრივი ინსტრუმენტი თუ ღირებულებითი სისტემის შექმნის საფუძველი?	
ნინო ცუხიშვილი / გვანცა ბესელია	60
ტრანსფორმაცია თუ დეფორმაცია? 2024-2025 წლების ცვლილებების გავლენა კარიერული საჯარო სამსახურის სისტემაზე	
სალომე სიგუა	84
კონფიდენციალურობა და პერსონალური მონაცემები: უფლებრივი განსხვავება და სამართლებრივი ანალიზი	
NORBERT BERNSDORFF	108
Concepts and Legal Problems of Migration Policy	

კონსტანტინე კორკელია*

ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში და მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან

I. შესავალი	6
II. ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები	6
III. ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში	16
1. კანონმდებლობა	16
2. პრაქტიკა	25
IV. დასკვნა	34

* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის პროფესორი; გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის წევრი. ნაშრომში ასახული მოსაზრებები არის ავტორისეული და არ გამოხატავს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის პოზიციას.

I. შესავალი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობისაგან დაცვაზე. გარდა იმისა, რომ სახელმწიფომ უნდა დაადგინოს ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მარეგულირებელი კანონმდებლობა, რომლის მიზანია ასეთი შემთხვევების თავიდან აცილება ან მინიმუმამდე შემცირება, მას ასევე ეკისრება ვალდებულება, გაატაროს პრევენციული ოპერატიული ღონისძიებები ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის თავიდან აცილების მიმართ.

ნაშრომის მიზანია, გაანალიზდეს ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის თავიდან აცილების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან. ამ ანალიზის საფუძველზე გაკეთდება დასკვნები და გამოითქმება რეკომენდაციები საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.¹

II. ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები

ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართ ერთ-ერთ საქმეზე – *ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ*² – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობა სახელმწიფოს მიერ ოჯახში ძალადობასთან მიმართებით.³ ამ საქმეზე ევროპულ სასამართლოს პირველად ჰქონდა მცდელობა, განესაზღვრა ოჯახში ძალადობა. სასამართლოს პოზიციით: „ოჯახში ძალადობის საკითხი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფორმა, ფიზიკური და ფსი-

¹ ნაშრომზე მუშაობა დასრულდა 2024 წლის ნოემბერში და, შესაბამისად, ის არ ასახავს ამ დროის შემდგომ მოვლენებს.

² *Opuz v. Turkey*, [2009] ECHR (Appl. No. 33401/02).

³ ასევე იხ. *ჰალიმე კილიჩი თურქეთის წინააღმდეგ* (*Halime Kiliç v. Turkey*, [2016] ECHR (Appl. No 63034/11)); ასევე *A. Carcano*, *Notable Cases of the European Court of Human Rights on the Right to Life: Materials and Analysis*, Turin, 2021, 69-71.

ქოლოგიური ძალადობის ან სიტყვიერი შეურაცხყოფის ჩათვლით, ... საერთო პრობლემაა, რომელიც ეხება ყველა წევრ სახელმწიფოს და რომელიც ყოველთვის არ არის ზედაპირზე, რადგან ის ხშირად ხდება პირად ურთიერთობებში ან დახურულ სივრცეში და ის არა მხოლოდ ქალებზე ახდენს გავლენას, სასამართლო ადასტურებს, რომ მამაკაცებიც ასევე შეიძლება გახდნენ ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი და, უდავოდ, ბავშვებიც ხშირად არიან ამ ფენომენის პირდაპირი თუ არაპირდაპირი მსხვერპლნი.⁴

ამ საქმეში მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ თურქეთის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მისი და მისი დედის დაცვა საკუთარი ქმრისაგან მომდინარე ძალადობისაგან, რამაც გამოიწვია დედის გარდაცვალება. ძალადობის მსხვერპლის მდგომარეობა ცნობილი იყო სახელმწიფოსათვის, რადგან უბედურ შემთხვევამდე მოსარჩელემ (მოძალადის ცოლმა) და მოსარჩელის დედამ, როგორც მინიმუმ, შვიდჯერ შეიტანეს განცხადება თურქეთის კომპეტენტურ ორგანოებში, სადაც ამტკიცებდნენ, რომ მათი სიცოცხლე იყო საფრთხეში და სთხოვდნენ ამ ორგანოებს სათანადო ღონისძიებების გატარებას. ამ განცხადებებში მოსარჩელე და მისი დედა ამტკიცებდნენ, რომ იყვნენ ძალადობის მსხვერპლნი, კერძოდ, რომ მოძალადე ფიზიკურად არაერთხელ გაუსწორდა მათ, მან საკუთარ მეუღლეს ცივი იარაღით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა,⁵ ხოლო ერთხელ მოძალადე გამიზნულად დაეჯახა მანქანით მათ, როდესაც ისინი (მოსარჩელე და მისი დედა) ტროტუარზე გადაადგილდებოდნენ.⁶

თურქეთის მთავრობამ თითქმის არაფერი გააკეთა მოსარჩელისა და მისი დედის სიცოცხლის დასაცავად. მოსარჩელის დედის რამდენიმე თხოვნაზე, რომ დაეცვათ იგი, პოლიციამ და მაგისტრატმა სასამართლომ მხოლოდ გამოკითხეს მოძალადე და გაათავისუფლეს იგი.⁷ ამ ფაქტიდან ორი კვირის შემდეგ მოსარჩელის მეუღლემ მოკლა მოსარჩელის დედა.⁸

⁴ გადანყევტილება (სქოლიო 2), 132-ე პუნქტი.

⁵ გადანყევტილება (სქოლიო 2), 37-ე პუნქტი.

⁶ გადანყევტილება (სქოლიო 2), 23-ე პუნქტი.

⁷ გადანყევტილება (სქოლიო 2), 47-ე-52-ე პუნქტები.

⁸ გადანყევტილება (სქოლიო 2), 54-ე პუნქტი.

ევროპულ სასამართლოში თურქეთის მთავრობის პოზიცია იყო ის, რომ მოსარჩელე და მისი დედა თავად უწყობდნენ ხელს მოძალადის დაუსჯელობას, რადგან საჩივრები რამდენჯერმე უკან გაიხმეს. ამასთანავე, მთავრობის მტკიცებით, არაფერი მიუთითებდა, რომ ხდებოდა მათზე ზეწოლა საჩივრების გახმოვანების მიზნით.⁹ თურქეთის პოზიციით, ვინაიდან არ არსებობდა მოძალადის წინააღმდეგ საკმარისი მტკიცებულებები, სახელმწიფო ვერ განაცალკევებდა მოსარჩელესა და მის მეუღლეს და გაასამართლებდა ამ უკანასკნელს, რადგან ამით დაირღვეოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ოჯახური ცხოვრების უფლება.¹⁰

ევროპულმა სასამართლომ საქმეზე ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ, განიხილა, იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა ხელისუფლებას იდენტიფიცირებული პირის ან პირების სიცოცხლის მიმართ მესამე მხარის მიერ სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენის რეალური და მყისიერი საფრთხის არსებობის შესახებ და გაატარა თუ არა მან ღონისძიებები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, რომლის მოლოდინიც, გონივრული შეფასებით, არსებობდა ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად.¹¹

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს შეეძლო, განეჭვრიტა სასიკვდილო თავდასხმა, რაც აკისრებდა პასუხისმგებლობას, გაეტარებინა შესაბამისი გონივრული ღონისძიებები ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად.¹² ევროპულმა სასამართლომ ასევე იმსჯელა იმ გარემოებებზე, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს სახელმწიფომ კონვენციის მე-2 (ისევე როგორც მე-8) მუხლის საფუძველზე ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევისას. სასამართლომ მიუთითა შემდეგ გარემოებებზე: სავარაუდო დანაშაულის სიმძიმე,

⁹ გადანყევტილება (სქოლიო 2), 122-ე – 123-ე პუნქტები.

¹⁰ გადანყევტილება (სქოლიო 2), 123-ე პუნქტი; ასევე იხ. *C. Hanna*, Health, Human Rights, and Violence against Women and Girls: Broadly Redefining Affirmative State Duties After *Opuz v. Turkey*, *Hastings International and Comparative Law Review*, Vol. 34, №1, 2011, 139-140.

¹¹ გადანყევტილება (სქოლიო 2), 129-ე პუნქტი.

¹² *C. Hanna* (სქოლიო 10), 140-141.

მსხვერპლისათვის მიყენებული ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანი, იარაღის გამოყენება, მუქარის არსებობა, თავდასხმის დაგეგმვა, ძალადობის გავლენა (მათ შორის, ფსიქოლოგიური) ოჯახში მცხოვრებ ბავშვებზე, ძალადობის განმეორების ალბათობის არსებობა, მუქარა მსხვერპლის ან ნებისმიერი შესაბამისი პირის ჯანმრთელობის ან უსაფრთხოების მიმართ, ოჯახის წევრების ურთიერთობის ისტორია, მათ შორის, წარსულში ძალადობის შემთხვევა, სავარაუდო მოძალადის სისხლისსამართლებრივი წარსული, განსაკუთრებით, ძალადობრივი ხასიათის.¹³ თურქეთის ხელისუფლების მტკიცებაზე, რომ მათი მხრიდან რაიმე ნაბიჯის გადადგმა დაარღვევდა მსხვერპლის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ უფლებას, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ოჯახური ძალადობის საქმეებში კანონდამრღვევის უფლებები არ შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე მსხვერპლის სიცოცხლის უფლება და მისი ფიზიკური და გონებრივი ხელშეუხებლობის უფლება.¹⁴

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ თურქეთმა ვერ შეასრულა პოზიტიური ვალდებულება, რითაც დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლი (ისევე როგორც მე-3 მუხლი, მე-14 მუხლთან მიმართებით).¹⁵

ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საქმეზე, რომელიც ეხებოდა პირის განთავისუფლებას პენიტენციური დაწესებულებიდან მისი გამოსვლის შემდგომი საფრთხის სათანადო შეფასების გარეშე. საქ-

¹³ გადანყვეტილება (სქოლიო 2), 138-ე პუნქტი; ასევე იხ. *T. Abdel-Monem, Opuz v. Turkey: Europe's Landmark Judgment on Violence against Women, Human Rights Brief, Vol. 17, Issue 1, 2009, 2.*

¹⁴ გადანყვეტილება (სქოლიო 2), 147-ე პუნქტი.

¹⁵ *T. Abdel-Monem* (სქოლიო 13), 1. ამ საქმეზე სასამართლომ დაადასტურა, რომ ოჯახში ძალადობა არის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ფორმა, რომელიც არღვევს კონვენციის მე-14 მუხლს, მე-2 და მე-3 მუხლთან მიმართებით. იხ. *B. C. Meyersfeld, Opuz v. Turkey: Confirming the State Obligation to Combat Domestic Violence, Human Rights and Non-State Actors, Clapham (ed.), 2013, 223.*

მის – ბლანკო ტომასიჩი და სხვები ხორვატიის წინააღმდეგ¹⁶ – მოსარჩელები იყვნენ დედისა (M.T.) და მისი შვილის (V.T.) ნათესავები, რომლებიც 2006 წლის აგვისტოში მოკლა საკუთარმა ქმარმა და მამამ (M.M.-მ). საქმის გარემოებები შემდეგი იყო: M.M. ერჩეუბა ოჯახის წევრებს, რომლებთანაც ცხოვრობდა. ამის გამო M.M.-ს მოუწია სახლიდან წასვლა. M.M. ემუქრებოდა თავის მეუღლეს, რომ მოკლავდა მას და საკუთარ შვილს, თუ ისინი არ დაბრუნდებოდნენ მასთან. M.T.-ს საჩივრის შედეგად, 2006 წლის მარტში, ეროვნულმა სასამართლომ M.M.-ს შეუფარდა სასჯელი საკუთარი მეუღლისა და შვილის მკვლელობის მუქარისათვის. მას მიესაჯა 5-თვიანი პატიმრობა და, იმავდროულად, დააკისრეს ვალდებულება, რომ პატიმრობის განმავლობაში, ისევე როგორც პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ, ჩაეტარებინა სავალდებულო ფსიქიატრიული მკურნალობა. ხორვატიის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა სასჯელის ის ნაწილი, რომლის მიხედვით M.M.-ს უნდა გაეგრძელებინა ფსიქიატრიული მკურნალობა სასჯელის მოხდის შემდეგ, რადგან ხორვატიის კანონმდებლობა ამას არ ითვალისწინებდა. შესაბამისად, M.M.-მ მოიხადა სასჯელი, რომლის განმავლობაში სათანადო ფსიქიატრიული მკურნალობა არ გაუვლია. იგი განთავისუფლდა 2006 წლის ივლისში, თუმცა მისთვის არ ჩაუტარებიათ ფსიქიატრიული შემოწმება უშუალოდ განთავისუფლებამდე, რათა შეფასებულიყო საფრთხე, შეიძლებოდა თუ არა, მას აღესრულებინა თავისი ადრინდელი მუქარა. 2006 წლის აგვისტოში მან სასიკვდილო გასროლა განახორციელა და მოკლა საკუთარი ცოლი და შვილი, რის შემდეგაც თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ არ გადადგა საჭირო და გონივრული ნაბიჯები იმისათვის, რათა M.M.-ს არ აღესრულებინა თავისი სასიკვდილო მუქარა საკუთარი მეუღლისა და შვილის მიმართ. კერძოდ, ევროპული სასამართლოს აზრით, ხორვატიამ არ მიაქცია სათანადო ყურადღება იმას, რომ M.M.-მ არ გამოავლინა თვითკრიტიკა ან მონანიება ჩადენილი დანაშაულის მიმართ და საჯაროდ განაცხადა, რომ აპირებდა M.T.-ს და V.T.-ს

¹⁶ Branko Tomašić and Others v. Croatia, [2009] ECHR (Appl. No. 46598/06).

მოკვლას. ამას გარდა, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ, მართალია, პირველი ინსტანციის სასამართლომ გასცა ბრძანება M.M.-ის სავალდებულო ფსიქიატრიული მკურნალობის შესახებ პატიმრობის პერიოდში და მის შემდეგ, როგორც რეკომენდებული იყო ფსიქიატრის მიერ, სააპელაციო სასამართლომ შეამცირა ამ ღონისძიების ვადა მხოლოდ პატიმრობის პერიოდით, რადგან ხორვატიის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სავალდებულო ფსიქიატრიულ მკურნალობას სასჯელის მოხდის შემდგომი პერიოდის განმავლობაში.¹⁷ ამის გამო ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ხორვატიამ ვერ უზრუნველყო სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულების შესრულება.¹⁸

საქმე *ტალპისი იტალიის წინააღმდეგ*¹⁹ ეხებოდა რუმინეთის მოქალაქე ქალბატონს, რომელიც ქმართან (A.T.) ერთად იტალიაში ცხოვრობდა. 2012 წლის ივნისში მან პოლიციაში შეიტანა საჩივარი, რომლის მიხედვით, მისი ალკოჰოლიკი ქმარი მას და მის შვილს სცემდა. 2012 წლის აგვისტოში მოსარჩელეს თავს დაესხა მისი ქმარი დანით და აიძულა, წაჰყოლოდა, რათა სექსუალური კავშირი დაემყარებინა ქმრის მეგობრებთან. ქუჩაში მოსარჩელემ დახმარება სთხოვა პოლიციას, რომელმაც დააჯარიმა A.T. აკრძალული იარაღის ტარებისათვის, ხოლო მოსარჩელეს სთხოვა სახლში წასვლა. მოგვიანებით მოსარჩელე გადავიდა ძალადობის მსხვერპლი ქალების საცხოვრებელში, სადაც 3 თვე დაყო. ამის შემდეგ მას უწევდა ქუჩაში გათენება, მეგობართან ცხოვრება. მოგვიანებით მან იპოვა სამსახური და შეძლო ბინის დაქირავება. ამასობაში A.T. ახდენდა მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას, განსაკუთრებით ტელეფონით. 2012 წლის სექტემბერში მოსარჩელემ შეიტანა საჩივარი სხეულებრივი ზიანის, არასათანადო მოპყრობისა და ძალადობის მუქარის გამო, რომელშიც მოითხოვდა დაუყოვნებლივი ღონისძიებების გატარებას მისი და მისი შვილების დასაცავად. 2013

¹⁷ გადაწყვეტილება (სქოლიო 16), 59-ე – მე-60 პუნქტები.

¹⁸ გადაწყვეტილება (სქოლიო 16), 61-ე პუნქტი. ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით ასევე იხ. საქმე *ჩივეკი თურქეთის წინააღმდეგ* (Civek v. Turkey, [2016] ECHR (Appl. No. 55354/11)).

¹⁹ Talpis v. Italy, [2017] ECHR (Appl. No. 41237/14).

ნლის აპრილში მოსარჩელე პირველად დაჰკითხეს, თუმცა მან შეცვალა ჩვენება. 2013 წლის აგვისტოში საქმე არასათანადო მოპყრობისა და ძალადობის მუქარის შესახებ დაიხურა. 2013 წლის ნოემბერში მოსარჩელეს მოუვიდა მორიგი კონფლიქტი, რის გამო გამოიძახა პოლიცია, რომელმაც A.T. გადაიყვანა საავადმყოფოში ინტოქსიკაციის მდგომარეობაში. საავადმყოფოდან განთავისუფლებული A.T. სამზარეულოს დანით მივიდა მოსარჩელის ბინაში და თავს დაესხა ცოლს. დაპირისპირების დროს A.T.-მ დანა დაარტყა თავის შვილს, რომელსაც უნდოდა დედის დაცვა და რომელიც ჭრილობისაგან გარდაიცვალა, ხოლო საკუთარ ცოლს მიაყენა რამდენიმე ჭრილობა, როდესაც ის ცდილობდა მიმალვას. 2015 წლის იანვარში A.T.-ს მიუსაჯეს სამუდამო პატიმრობა საკუთარი შვილის სიცოცხლის მოსპობისა და ცოლის მკვლელობის მცდელობის გამო, ასევე აკრძალული იარაღის ტარებისა და მოსარჩელისა და მისი შვილის მიმართ არასათანადო მოპყრობისათვის.

ევროპული სასამართლოს წინაშე მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ვალდებულების შესრულება, რათა დაეცვა იგი ძალადობისაგან, რასაც შედეგად მოჰყვა მისი შვილის სიკვდილი და მისი მკვლელობის მცდელობა.

ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მოსარჩელის დაცვა და რომ 2012 წელს, პირველად საჩივრის შეტანიდან შვიდი თვის განმავლობაში, არც კი დაკითხულა იგი. ევროპულმა სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ სახელმწიფომ ვერ შეაფასა მოსარჩელის მიმართ არსებული საფრთხეები, მათ შორის ფიზიკური თავდასხმისა. სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან პოლიციას უნდა სცოდნოდა, A.T. საფრთხე იყო მოსარჩელისათვის, საფრთხის სისრულეში მოყვანა არ უნდა ყოფილიყო გამორიცხული. შესაბამისად, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო სათანადო ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც მოსარჩელისა და მისი შვილის სიცოცხლისათვის შექმნილი საფრთხის სისრულეში მოყვანას თავიდან აიცილებდა. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.²⁰

²⁰ გადანყევტილება (სქოლიო 19), 124-ე-125-ე პუნქტები; ასევე იხ. A. Carcano (სქოლიო 3), 57.

საქმე *თერშანა ალბანეთის წინააღმდეგ*²¹ ეხებოდა 2009 წელს მოსარჩელეზე თავდასხმას გოგირდმჟავით. მოსარჩელეს ჰქონდა ეჭვი, რომ ამ ფაქტის უკან იდგა მისი ყოფილი ქმარი, რომელსაც მან ბრალი დასდო ძალადობაში. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ ალბანეთის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მისი დაცვა თავდასხმისაგან და რომ მან ვერ ჩაატარა საქმის ეფექტიანი გამოძიება სამართალდამრღვევის იდენტიფიცირების, დევნისა და დასჯისათვის.

ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა სახელმწიფოს მიერ პრევენციული ოპერატიული ღონისძიების გატარების ვალდებულების დარღვევა და მიუთითა, რომ ალბანეთს არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა თავდასხმისათვის. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ, თუ სახელმწიფოს ეცოდინებოდა მოსარჩელისათვის არსებული საფრთხის შესახებ, ის ვალდებული იქნებოდა, გაეტარებინა პრევენციული ღონისძიებები. სასამართლოს აზრით, ამ საქმეში სახელმწიფომ შეიტყო მოსარჩელის ყოფილი ქმრის ძალადობრივი მოქმედების შესახებ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდა თავდასხმა.²²

საქმე *კურტი ავსტრიის წინააღმდეგ*²³ ეხებოდა მოსარჩელის მტკიცებას, რომ ავსტრიამ ვერ უზრუნველყო მისი და მისი შვილების დაცვა მოძალადე ქმრისაგან, რომლის მოქმედებამ გამოიწვია შვილის სიცოცხლის მოსპობა.

ოსმანის საქმეზე დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე, ევროპულმა სასამართლომ *კურტის* საქმით ნათელი მოჰფინა ოჯახში ძალადობის საქმეებთან მიმართებით კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე ზოგად პრინციპებს და კიდევ უფრო დააზუსტა სახელმწიფოს ვალდებულებანი ამ ტიპის საქმეებზე. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა, რომ ხელისუფლებას ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ განც-

²¹ *Tërshana v. Albania*, [2020] ECHR 586 (Appl. No. 48756/14).

²² გადანყევტილება (სქოლიო 21), 151-ე პუნქტი. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში, ვინაიდან სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ეფექტიანი გამოძიების ჩატარება.

²³ *Kurt v. Austria*, [2021] ECHR (Appl. No. 62903/15).

ხადებაზე სწრაფი რეაგირება და რომ მან განსაკუთრებული გულ-მოდგინება უნდა გამოიჩინოს ასეთ საქმეებთან მიმართებით. მისი აზრით, ხელისუფლებამ უნდა დაადგინოს, არსებობდა თუ არა ერთი ან რამდენიმე იდენტიფიცირებული პირის სიცოცხლის მიმართ რეალური და მყისიერი საფრთხე. ამისათვის სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, მოახდინოს საფრთხის შეფასება, რომელიც უნდა იყოს დამოუკიდებელი, პროაქტიური და ყოვლისმომცველი.²⁴ სასამართლოს პოზიციით, ხელისუფლებამ უნდა შეაფასოს, რამდენად რეალური და მყისიერია საფრთხე ოჯახში ძალადობის საქმეების სპეციალური კონტექსტის გათვალისწინებით. თუ საფრთხის შეფასების შედეგია ის, რომ სიცოცხლისათვის საფრთხე არის რეალური და მყისიერი, ხელისუფლების ვალდებულებაა, დაიწყოს პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გატარება. სასამართლოს პოზიციით, ასეთი ღონისძიებები უნდა შეფასდეს საფრთხის ხარისხის ადეკვატურად და თანაზომიერად.

აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ოჯახში ძალადობის საქმეებთან მიმართებით პოზიტიური ვალდებულების შესასრულებლად სახელმწიფომ უნდა გადადგას შემდეგი ნაბიჯები, კერძოდ:

ა) დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს რეაგირება შეტყობინებაზე ოჯახში ძალადობის შესახებ;

ბ) როდესაც ასეთი შეტყობინება გახდება მისთვის ცნობილი, მან უნდა დაადგინოს, არსებობდა თუ არა ერთი ან რამდენიმე იდენტიფიცირებული პირის სიცოცხლის მიმართ რეალური და მყისიერი საფრთხე. ამისათვის სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, მოახდინოს საფრთხის დამოუკიდებელი, პროაქტიური და ყოვლისმომცველი შეფასება. სახელმწიფომ უნდა შეაფასოს, რამდენად რეალური და მყისიერია საფრთხე ოჯახში ძალადობის საქმეების სპეციალური კონტექსტის გათვალისწინებით;

გ) თუ საფრთხის შეფასებიდან გამომდინარე, რომ სიცოცხლისათვის საფრთხე არის რეალური და მყისიერი, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პრევენციული ოპერატიული და დაცვითი ღონისძიებების

²⁴ გადაწყვეტილება (სქოლიო 23), 168-ე-171-ე პუნქტები.

გატარება. ასეთი ღონისძიებები უნდა იყო საფრთხის ხარისხის შესაფერისი და თანაზომიერი.

ამ საქმეზე ევროპული სასამართლო დაეთანხმა მოპასუხე სახელმწიფოს, რომ შესაბამის დროს არსებული ინფორმაციის საფუძველზე არ იყო მოსარჩელის შვილის მიმართ შემდგომი ძალადობის რეალური და მყისიერი საფრთხის ნიშნები, გარდა იმ ტერიტორიისა, რომელზეც გაიცა შემაკავებელი ორდერი, მით უფრო, არ არსებობდა სიცოცხლის მოსპობის საფრთხე.

ევროპული სასამართლოს პოზიციით, ვინაიდან არ გამოკვეთილა ბავშვების სიცოცხლის მოსპობის რეალური და მყისიერი საფრთხე, ხელისუფლებას არ ეკისრებოდა ვალდებულება, გაეტარებინა დამატებითი პრევენციული ოპერატიული ღონისძიებები კონკრეტულად მოსარჩელის შვილების მიმართ, იქნებოდა ეს კერძო თუ საჯარო ადგილებში, როგორიცაა შემაკავებელი ორდერის გაცემა ბავშვების სკოლასთან მიმართებით. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს არ დაურღვევია კონვენციის მე-2 მუხლი.²⁵

საქმეზე *კურტი ავსტრიის წინააღმდეგ* მიღებულმა გადაწყვეტილებამ კიდევ უფრო განავითარა ევროპული სასამართლოს მიდგომა ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული საქმეების მიმართ და მან დაიწყო სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დაზუსტებული კრიტერიუმების გამოყენება მის მომდევნო საქმეებზე.

საქმე *Y და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ*²⁶ ეხებოდა სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობას, ქმრის მიერ ცოლის (ქ-ნი ვ.) მკვლელობის გამო. ქ-ნი ვ. 9 თვის განმავლობაში ამტკიცებდა შესაბამისი ორგანოების წინაშე, რომ ქმარი ძალადობდა მასზე, მათ შორის, ემუქრებოდა ცეცხლსასროლი იარაღით.

ევროპულმა სასამართლომ *კურტი ავსტრიის წინააღმდეგ* საქმეზე დადგენილი კრიტერიუმებით შეაფასა ეს საქმე და აღნიშნა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს შეეძლო, როგორც პრევენციული ღონისძიება, გადაედგა რიგი ნაბიჯებისა, მათ შორის, ჩამოერთვა ქ-ნი

²⁵ გადაწყვეტილება (სქოლიო 23), 212-ე პუნქტი.

²⁶ *Y and Others v. Bulgaria*, [2020] ECHR (Appl. No. 1666/19).

ვ.-ს ქმრისათვის ცეცხლსასროლი იარაღი და წარედგინა ბრალდება იარაღის უკანონო ტარებისათვის, მისი ქმარი დაეკავებინათ და ბრალდება წარედგინათ ქ-ნი ვ.-ს მიმართ დაცვითი ორდერის პირობების დარღვევისათვის ან ქ-ნი ვ.-სათვის უზრუნველყოთ პოლიციის მიერ რაიმე სახის დაცვა, განსაკუთრებით მისი ბოლოდროინდელი საჩივრების გათვალისწინებით.²⁷ სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფომ არ გაატარა გონივრული ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნებოდა ქ-ნი ვ.-ს სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან აცილებისაკენ, რის გამოც დადგინდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.²⁸

III. ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში

1. კანონმდებლობა

საქართველოში ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის საკითხებს აწესრიგებს საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“.²⁹ კანონის მიზანია ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის გამოვლენისათვის, აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის ეფექტიანი ნორმატიული მექანიზმის შექმნა. კანონი განსაზღვრავს ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობას.³⁰

კანონი ადგენს ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმებს. კანონის მიხედვით, ძალადობისა და აღკვეთისათვის გამოიყენება სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქოსა-

²⁷ გადაწყვეტილება (სქოლიო 26), 117-ე პუნქტი.

²⁸ გადაწყვეტილება (სქოლიო 26), 111-ე პუნქტი.

²⁹ საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, სსმ, 20, 25.05.2006.

³⁰ კანონი (სქოლიო 29), მე-3 და მე-4 მუხლები.

მართლებრივი და ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმები.³¹

კანონის მიხედვით, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევის გამოვლენას და მასზე შესაბამის რეაგირებას უზრუნველყოფენ სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოები. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის პირველადი იდენტიფიკაციის და მასზე რეაგირების მიზნით შესაბამისი ორგანოებისთვის მიმართვის ვალდებულება აკისრიათ სამედიცინო დაწესებულებების ... უფლებამოსილ თანამშრომლებს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სუბიექტებს“.³²

კანონი ითვალისწინებს დამცავი და შემაკავებელი ორდერების გაცემის წესს. კერძოდ, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია, დროებითი ღონისძიების სახით გამოიცეს შემაკავებელი ორდერი ან დამცავი ორდერი.“³³ კანონის მიხედვით, პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად დროებითი ღონისძიებების სახის შემაკავებელი ორდერის გამოცემა სავალდებულოა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით გამოძიების დაწყების ან გამოძიების მიმდინარეობის შემთხვევაში, მათ შორის: 108-ე (განზრახ მკვლელობა), 109-ე (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში) და 115-ე (თვითმკვლელობამდე მიყვანა) მუხლებით.³⁴

კანონის მიხედვით, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ, თუ არ არსებობს გამოძიების დაწყების საფუძველი, პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით, აფასებს ქალის მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის განმეორების რისკს და ამ საფრთხის ხარისხის მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას შემაკავებელი ორდერის გამოცემის შესახებ ან გა-

³¹ კანონი (სქოლიო 29), მე-9 მუხლის 1-ელი პუნქტი.

³² კანონი (სქოლიო 29), მე-9¹ მუხლი.

³³ კანონი (სქოლიო 29), მე-10 მუხლის 1-ელი პუნქტი.

³⁴ კანონი (სქოლიო 29), მე-10 მუხლის 1¹ პუნქტი.

მოცემაზე უარის თქმის შესახებ.³⁵ შემაკავებელი ორდერი გამოიცემა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული შემაკავებელი ორდერის ოქმით განსაზღვრული რისკების შეფასების კითხვარის საფუძველზე.³⁶

სხვა საკითხებთან ერთად, შემაკავებელი ორდერი შეიძლება ითვალისწინებდეს: მოძალადის მსხვერპლის საცხოვრებელი სახლიდან გარიდებას, მსხვერპლთან, მის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება, მოძალადის მიახლოების აკრძალვას; ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებას, მოძალადისათვის ამ ორდერის მოქმედების პერიოდში ან ამ ორდერით განსაზღვრულ პერიოდში იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით) სარგებლობის უფლების შეზღუდვას ან აკრძალვას, იარაღის შეძენის ან მისი შეძენისათვის ნებართვის ან ლიცენზიის მოპოვების უფლების აკრძალვას და პირად საკუთრებაში არსებული იარაღის ან/და კუთვნილი იარაღის შენახვისა ან დროებით ჩამორთმევის პირობებს.³⁷

კანონი ასევე ითვალისწინებს მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის დაწესებისა და განხორციელების წესებს.³⁸ კანონი ადგენს, რომ მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის დაწესება დასაშვებია, თუ არსებობს მოძალადის მხრიდან ძალადობის განმეორების რეალური საფრთხე, რის შეფასებასაც პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული შემაკავებელი ორდერის ოქმით განსაზღვრული რისკების შეფასების კითხვარის საფუძველზე.³⁹ ამასთანავე, გამოიცემა ოქმი ელექტრონული ზედამხედ-

³⁵ კანონი (სქოლიო 29), მე-10 მუხლის 1² პუნქტი.

³⁶ კანონი (სქოლიო 29), მე-10 მუხლის მე-3 მუხლი.

³⁷ კანონი (სქოლიო 29), მე-10 მუხლის მე-3² პუნქტი.

³⁸ კანონი (სქოლიო 29), მე-10¹ მუხლი.

³⁹ ძალადობის განმეორების საფრთხის შეფასებისას მხედველობაში მიიღება სხვადასხვა გარემოება, მათ შორის, წარსულში მოძალადის მიერ მის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერის ან/და დამცავი ორდერის დარღვევის ფაქტი და დარღვევის ხასიათი, წარსულში ძალადობრივი

ველობის განხორციელების შესახებ და ის გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს.⁴⁰

კანონის ასევე ადგენს, რომ შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოცემის მოთხოვნის უფლება აქვს მსხვერპლს, მსხვერპლის ოჯახის წევრს ან, მსხვერპლის თანხმობით, სოციალურ მუშაკს ან პირს, რომელიც მსხვერპლს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევს.⁴¹

კანონი ასევე ადგენს, რომ პოლიცია ვალდებულია, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.⁴² ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინების მიღების შემთხვევაში პოლიცია ვალდებულია, დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე.⁴³ ძალადობის ფაქტის არსებობის შემთხვევაში, პოლიცია ვალდებულია, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის აღსაკვეთად გაატაროს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, განცალკევებულად გამოკითხოს მონაწილე პირები, მოწმეები, მსხვერპლს მიაწოდოს ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ, მსხვერპლის მოთხოვნით ან გადაუდებელ შემთხვევაში უზრუნველყოს მისი გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებაში; მსხვერპლის მოთხოვნით, აგრეთვე, გადაუდებელ შემთხვევაში მსხვერპლის თანხმობით უზრუნველყოს მსხვერპლისა და მასზე დამოკიდებული პირის თავშესაფარში გადაყვანა, საჭიროების შემთხვევაში, ამ კანონის საფუძველზე მოძალადე გაარიდოს მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილიდან და უზრუნველყოს

დანაშაულის ჩადენის ფაქტი, მოძალადის მხრიდან მუქარა ან/და მის მიერ ფიზიკური ძალადობის განხორციელებისას ცივი/ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების/დემონსტრირების ფაქტი და სხვა გარემოებები. იხ. კანონი (სქოლიო 29), მე-10¹ მუხლის მე-2 პუნქტი.

⁴⁰ კანონი (სქოლიო 29), მე-10¹ მუხლის მე-4 პუნქტი.

⁴¹ კანონი (სქოლიო 29), მე-11 მუხლის 1-ელი პუნქტი.

⁴² კანონი (სქოლიო 29), მე-16 მუხლის 1-ელი პუნქტი.

⁴³ კანონი (სქოლიო 29), მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი.

მსხვერპლის უსაფრთხოება.⁴⁴

ამ კანონის დებულებების აღსრულების მიზნით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას შემაკავებელი ორდერით ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, ან ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებისას მოძალადის მიერ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების წესით განსაზღვრულ საგანგაშო ზონაში შეღწევის, ანდა მოძალადის მიერ საგანგაშო ან ბუფერული ზონის დატოვების შესახებ უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შეუსრულებლობის ან მოძალადის მიერ ელექტრონული ზედამხედველობისთვის თავის არიდებისათვის.⁴⁵

როგორც აღინიშნა, კანონი ითვალისწინებს შემაკავებელი ორდერის მოქმედების პერიოდში ან ამ ორდერით განსაზღვრულ პერიოდში იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით) სარგებლობის უფლების შეზღუდვას ან აკრძალვას, იარაღის შეძენის ან მისი შეძენისათვის ნებართვის ან ლიცენზიის მოპოვების უფლების აკრძალვას და პირად საკუთრებაში არსებული იარაღის ან/და კუთვნილი იარაღის შენახვისა ან დროებით ჩამორთმევის პირობებს.⁴⁶ „იარაღის შესა-

⁴⁴ კანონი (სქოლიო 29), მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი.

⁴⁵ საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“, მუხლი 381¹, სსმ, 41(48), 22.07.1999.

⁴⁶ ამ დებულების შესასრულებლად შესაბამისი წესებია დადგენილი კანონით „იარაღის შესახებ“ (სსმ, 14, 08.05.2003), რომელიც განსაზღვრავს შეზღუდვებს ცეცხლსასროლი იარაღის ტარებაზე, შენახვა, შეძენა, ლიცენზიის (ნებართვის) გაუცემლობასა და ჩამორთმევაზე. კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, მოძალადეს „დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და განსაზღვრული ვადით, აგრეთვე იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერის მოქმედების ვადით ეკრძალება პირად საკუთრებაში არსებული იარაღის ტარება, ხოლო ეზღუდება ან ეკრძალება სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარება. დამცავი, შემაკავებელი და იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერების მოქმედების პერიოდში ან დამცავი და შემაკავებელი ორდერებით განსაზღვრულ პერიოდში მოძალადეს ჩამოერთმევა პირად საკუთრებაში არსებული იარაღი და შეეზღუდება ან ჩამოერთმევა გადაცემული სამ-

ხეზ“ კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი მოძალადეს უნესებს შეზღუდვას ცეცხლსასროლი იარაღის შენახვაზე,⁴⁷ შეძენასა⁴⁸ და ლიცენზიის (ნებართვის) გაცემაზე.⁴⁹ კანონის 28-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია, რომ იარაღის ჩამორთმევა ხდება მოძალადისათვის მის მიმართ გამოცემული დამცავი, შემაკავებელი ან იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერით განსაზღვრულ შემთხვევებში და განსაზღვრული ვადით.

როგორ აღინიშნა, შემაკავებელი ორდერი გამოიცემა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული შემაკავებელი ორდერის ოქმით განსაზღვრული რისკების შეფასების კითხვარის საფუძველზე.⁵⁰ „შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება (№81) მიღებულია 2018 წლის 13 ივლისს. ბრძანების მე-3 მუხლის მიხედვით, პასუხისმგებელი პირები უფლებამოსილი არიან, ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში, შემაკავებელი ორდერის ოქმის კითხვარების საშუალებით განახორციელონ განმეორებითი ძალადობის რისკების სიმძიმის შეფასება და გამოსცენ შემაკავებელი ორდერი. ამასთანავე, ბრძანების მე-4 მუხლი ადგენს, რომ განმეორებითი ძალადობის რისკებისა და რისკის სიმძიმის შეფასება ხორციელდება შემაკავებელი ორდერის ოქმში ასახული კითხვების საშუალებით, ხო-

სახურებრივ-სამშტატო იარაღის ტარების უფლება.“

⁴⁷ ამ საკითხების მოსაწესრიგებლად მიღებულია საქართველოს შს მინისტრის ბრძანება. იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №1094 „ოჯახში ძალადობის დროს მოძალადისათვის ჩამორთმეული პირად საკუთრებაში არსებული იარაღის შენახვის წესისა და პირობების, აგრეთვე მოძალადისათვის სამსახურებრივ-სამშტატო იარაღით შეზღუდულად სარგებლობის ან/და ჩამორთმევის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, სსმ, 163, 10.12.2010.

⁴⁸ კანონი (სქოლიო 46), მე-19 მუხლის მე-9 პუნქტი.

⁴⁹ კანონი (სქოლიო 46), 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი.

⁵⁰ კანონი (სქოლიო 29), მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი.

ლო განმეორებითი ძალადობის რისკის სიმძიმე განისაზღვრება შემთხვევითი ორდერის ოქმში მითითებული კითხვებისთვის მინიჭებული ქულების საფუძველზე.

საყურადღებოა, რომ ბრძანებას თან ერთვის როგორც შემთხვევითი ორდერი, ისე შემთხვევითი ორდერის ოქმი. ეს უკანასკნელი მოითხოვს დოკუმენტში სხვადასხვა ინფორმაციის ასახვას, მათ შორის: ზოგადი ინფორმაციის სავარაუდო ძალადობის შესახებ, პირადი ინფორმაციის მსხვერპლის შესახებ, პირადი ინფორმაციის მოძალადის შესახებ, ინფორმაციის მსხვერპლისა და მოძალადის კავშირის შესახებ. ოქმით ასევე გათვალისწინებულია კითხვარი განმეორებითი ძალადობის რისკების განსაზღვრავად. კითხვარი ითვალისწინებს მრავალ კითხვას, რაც იძლევა საშუალებას, შეფასდეს ძალადობის განმეორების საფრთხე.⁵¹

ამ კითხვებზე გაცემული პასუხების ქულების დაჯამებით უფლებამოსილ პირს შეუძლია განსაზღვროს, სახეზეა განმეორებითი ძალადობის რისკი თუ მაღალი რისკი. ძალადობის რისკის დონის (ხარისხის) მიხედვით, უფლებამოსილი პირი იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი ღონისძიების გატარების შესახებ.

ოჯახში ძალადობის მარეგულირებელი საქართველოს ნორმატიული ბაზის შეფასებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის

⁵¹ ამ კითხვებს შორისაა: ფიქრობთ, რომ მოძალადე მოგაყენებთ ჯანმრთელობის დაზიანებას, მოგკლავთ, ჯანმრთელობას დაუზიანებს ან მოკლავს თქვენს შვილ(ებ)ს ან/და სხვა ახლობელს? მოძალადეს თქვენ წინააღმდეგ გამოუყენებია ცეცხლსასროლი იარაღი (მათ შორის, იარაღის დემონსტრირებით), დანა ან/და სხვა ნივთი/ნივთიერება (რომელსაც შეეძლო სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა) ან დაგმუქებიათ მისი გამოყენებით ამჟამინდელი ან/და წარსული ინციდენტის დროს? მოძალადე მიდრეკილია ალკოჰოლური, ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისკენ? მოძალადეს ხელი მიუწვდება მის ან მესამე პირის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ ცეცხლსასროლ იარაღზე? ფიქსირდება თუ არა მოძალადის მიერ შემთხვევითი ან დამცავი ორდერის დარღვევის შესახებ ინფორმაცია? მოძალადის მხრიდან წარსულში ფიქსირდება ოჯახური ან სხვა ძალადობრივი დანაშაულის ფაქტები?

ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ დამაკმაყოფილებლად აწესრიგებს ქალისა და ოჯახში ძალადობის საკითხებს და საკანონმდებლო (ნორმატიული) რეგულირების რაიმე პრობლემა არ ყოფილა იდენტიფიცირებული.

გარდა თავად ძალადობის მსხვერპლისა, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის პირველადი იდენტიფიკაციის და მასზე რეაგირების მიზნით, შესაბამისი ორგანოებისთვის მიმართვის ვალდებულება აკისრიათ სამედიცინო დაწესებულებების უფლებამოსილ თანამშრომლებს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სუბიექტებს.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს პოლიციის მიერ ქალის მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტზე დაუყოვნებლივი რეაგირების აუცილებლობას და უფლებამოსილია, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები ძალადობის მსხვერპლის სიცოცხლის დასაცავად. ამისათვის პოლიციამ უნდა გამოიყენოს რისკების შეფასების ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობით პოლიციას შეუძლია შეაფასოს რისკის დონე (ხარისხი) და ამის საფუძველზე გადადგას შესაბამისი ნაბიჯები.

კანონი ითვალისწინებს სპეციალური ღონისძიების სახით შემაკავებელი ორდერის სავალდებულო გამოცემას სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით გამოძიების დაწყების ან გამოძიების მიმდინარეობის შემთხვევაში. კანონი ასევე ითვალისწინებს ქალის მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის განმეორების რისკის შეფასებას, რის საფუძველზეც შეიძლება გამოიცეს შემაკავებელი ორდერი. კანონით ასევე გათვალისწინებულია მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის დაწესებისა და განხორციელების წესები.

კანონის დებულებების აღსასრულებლად საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას შემაკავებელი ორდერით ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის.

აქედან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ქალის მიმართ ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობა აკმაყოფილებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილ სტანდარტებს ქალის მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მიმართ. კერძოდ, ქვეყანაში ნორმატიული ბაზის ანალი-

ზი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის, მათ შორის ისეთი საქმეებით დადგენილი მოთხოვნების მიმართ, როგორებიცაა *ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ* და *კურტი ავსტრიის წინააღმდეგ*, ცხადყოფს, რომ ამ საკითხების მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობა შესაბამეა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებს. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მსგავსად, საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისი ღონისძიებების გატარებისას ითვალისწინებს ისეთ გარემოებებს, როგორებიცაა: სავარაუდო დანაშაულის სიმძიმე, მსხვერპლისათვის მიყენებული ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანი, იარაღის გამოყენება, მუქარის არსებობა, ძალადობის გავლენა (მათ შორის, ფსიქოლოგიური) ოჯახში მცხოვრებ ბავშვებზე, ძალადობის განმეორების ალბათობის არსებობა, მსხვერპლის ან ნებისმიერი შესაბამისი პირის ჯანმრთელობის ან უსაფრთხოების მიმართ მუქარა, ოჯახის წევრების ურთიერთობის ისტორია, მათ შორის: წარსულში ძალადობის შემთხვევა, ცეცხლსასროლი იარაღის ხელმისაწვდომობა მოძალადისათვის, სავარაუდო მოძალადის სისხლისსამართლებრივი წარსული, განსაკუთრებით ძალადობრივი ხასიათის.⁵²

ევროპული სასამართლოს მსგავსად, საქართველოს კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე – *კურტი ავსტრიის წინააღმდეგ* – დადგენილ ვალდებულებას, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ ინფორმაციაზე დაუყოვნებლივი რეაგირება და რომ მოახდინოს საფრთხის შეფასება, კერძოდ, სახელმწიფომ უნდა შეაფასოს, რამდენად რეალური და მყისიერია საფრთხე ოჯახში ძალადობის საქმეების სპეციალური კონტექსტის გათვალისწინებით.⁵³ ამ საქმეზე დადგენილი მიდგომის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, თუ დადგინდა, რომ არსებობს საფრთხე ძალადობის მსხვერპლის ან მისი ოჯახის წევრებისათვის.

⁵² გადაწყვეტილება (სქოლიო 2), 138-ე პუნქტი.

⁵³ გადაწყვეტილება (სქოლიო 23), 168-ე-171-ე პუნქტები.

2. პრაქტიკა

მართალია, ბოლო წლებში გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები საქართველოში ქალთა/ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, მათ შორის საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების, კანონმდებლობისა და პრაქტიკის გაუმჯობესების, ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლის გაზრდისა და მსხვერპლთა დაცვის სამართლებრივი მექანიზმის განახლებული ფორმით ამოქმედების თვალსაზრისით,⁵⁴ საქართველოში ქალთა/ოჯახში ძალადობის მიმართ რთული მდგომარეობაა.⁵⁵ ამას მოწმობს როგორც კონკრეტული ფაქტები⁵⁶ და

⁵⁴ საქართველოს პროკურატურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, 75-78, იხ. <https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpuP9BJo.pdf> [22.08.2025]; ასევე იხ. შსს-ს მიერ გავრცელებული ინფორმაცია: <<https://police.ge/ge/2023-tslis-pirveli-maisidan-qalta-mimart-anda-odjakhshi-dz-aladobis-mskhverpita-datsvis-samartlebrivi-meqanizmi-ganakhlebuli-for-mit-amogmedda/15772>> [22.08.2025].

⁵⁵ საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი, 33-34, იხ.: <<https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf>> [22.08.2025].

⁵⁶ ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის შემთხვევების მრავალრიცხოვნობის გამო, მოხსენიებული შემთხვევები მხოლოდ საილუსტრაციოა: „ზუგდიდში კაცმა ცოლი მოკლა – შსს“, 24 მაისი, 2024 წ., იხ.: <<https://netgazeti.ge/news/723959/>> [22.08.2025]; „18 წელი მიუსაჯეს კაცს, რომელმაც შშმ ცოლი მოკლა ურეკში – პროკურატურა“, 7 ივნისი, 2024 წ., იხ.: <<https://batumelebi.netgazeti.ge/slideshow/528865/>> [22.08.2025]; „რუსთავში კაცმა 21 წლის ცოლი და სიდედრი მოკლა – შსს“, 22 მაისი, 2024 წ., იხ.: <<https://netgazeti.ge/news/723695/>> [22.08.2025]; „ბოლნისში, გენდერის ნიშნით მეუღლის მკვლელობაში ბრალდებულს უვადო თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა“, 28 თებერვალი, 2024 წ., იხ.: <<https://www.interpressnews.ge/ka/article/789506-bolniss-shi-genderis-nishnit-meuglis-mkvlelobashi-braldebuls-uvado-tavisuplebis-agkveta-miesaja>> [22.08.2025]; „ავტობუსში ქმრის მიერ მოკლული ქალის საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოში სხდომა გაიმართება“, 29 ნოემბერი, 2023 წ., იხ.: <<https://>

სტატისტიკა,⁵⁷ ისე ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებები.

www.interpressnews.ge/ka/article/779529-avtobusshi-kmris-mier-moklu-li-kalis-sakmeze-tbilisis-saapelacio-sasamartloshi-sxdoma-gaimarteba [22.08.2025]; „ყოფილი ცოლისა და სიდედრის მკვლელობაში ბრალდებული პოლიციელი, რომელმაც დანაშაულის შემდეგ თვითმკვლელობა სცადა, გარდაიცვალა“, 11 ოქტომბერი, 2023 წ., იხ.: <<http://www.interpressnews.ge/ka/article/773217-qopili-colisa-da-sidedris-mkvlelobashi-braldebuli-policieli-romelmac-danashaulis-shemdeg-tvitmkvleloba-scada-gardaicvala>> [22.08.2025]; „თერჯოლაში კაცმა ყოფილი ცოლი მოკლა“, 22 ნოემბერი, 2022 წ., იხ.: <<http://tabula.ge/ge/news/694049-terjolashi-katsma-qopili-tsol-mokla>> [22.08.2025]; „ქუთაისში ქალის მკვლელობის ბრალდებით მისი ყოფილი ქმარი ცხელ კვალზე დააკავეს“, 1 ივლისი, 2022 წ., იხ.: <<http://imednews.ge/ge/samartali/255895/qutaisshi-qalis-mkvlelobis-braldebit-misi-kopili-qmari-tskhel-kvalze-daakaves>> [22.08.2025]; „თბილისში, მამაკაცმა საზოგადოებრივ ტრანსპორტში მეუღლე ყელის არეში დანით დაჭრა, ქალი ადგილზე გარდაიცვალა“, 21 მაისი, 2022 წ., იხ.: <<http://www.interpressnews.ge/ka/article/711534-tbilisshi-mamakacma-sazogadoe-briv-transportshi-meugle-qelis-areshi-danit-dachra-kali-adgilze-gardaicvala>> [22.08.2025]; ოჯახში ძალადობის შემთხვევები: „შსს – ბრალდებული გარდაბანში, ავტომობილით განზრახ დაეჯახა დას, რის შემდეგაც მას დანით სხეულზე მრავლობითი ჭრილობა მიაყენა – გოგონა ადგილზე გარდაიცვალა“, 16 მაისი, 2024 წ., იხ.: <<http://www.interpressnews.ge/ka/article/799838-shss-braldebuli-gardabanshi-avtomobilit-ganzrax-dae-jaxa-das-ris-shemdegac-mas-danit-sxeulze-mravlobiti-chriloba-miaqena-gogona-adgilze-gardaicvala>> [22.08.2025].

⁵⁷ საქართველოს პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 2014-2022 წლებში საქართველოში ჩადენილი 186 ქალის მკვლელობიდან, ოჯახური ნიშნით 92 ქალის მკვლელობა იყო. ამავე პერიოდში ჩადენილი 129 ქალის მკვლელობის მცდელობიდან, 69 ქალის მკვლელობის მცდელობა იყო ჩადენილი ოჯახური ნიშნით. იხ.: <<http://pog.gov.ge/uploads/eb6f7f93-Femicide.pdf>> [22.08.2025]. ასევე „ფემიციდი – ქალის მკვლელობის 14 და მკვლელობის მცდელობის 23 შემთხვევა 8 თვეში“, 15 ოქტომბერი, 2022 წ., იხ.: <<http://mtavari.tv/news/100799-pemitsidi-kalis-mkvlelobis-14-mkvlelobis>> [22.08.2025].

თუ ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობა განიხილება ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი სტანდარტების მიხედვით, უნდა დაისვას რამდენიმე კითხვა, რომელთა საფუძველზეც შეიძლება შეფასდეს, უზრუნველყო თუ არა სახელმწიფომ სიცოცხლის უფლების დაცვა. ეს კითხვებია: დაუყოვნებლივ მოახდინა თუ არა სახელმწიფომ რეაგირება შეტყობინებაზე ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის შესახებ? იყო თუ არა სახელმწიფოს მიერ რეალური და მყისიერი საფრთხის შეფასება დამოუკიდებელი, პროაქტიური და ყოვლისმომცველი და ამ შეფასებისას გაითვალისწინა თუ არა მან საქმის სპეციალური კონტექსტი? თუ საფრთხის შეფასებიდან გამომდინარე გამოვლინდა, რომ სიცოცხლისათვის საფრთხე იყო რეალური და მყისიერი, უზრუნველყო თუ არა სახელმწიფომ პრევენციული ოპერატიული და დაცვითი ღონისძიებების გატარება, რომლებიც იყო საფრთხის ხარისხის შესაფერისი და თანაზომიერი?

როგორც ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ანალიზისას გამოჩნდა, საქართველოს კანონმდებლობა აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს. ამას მოწმობს ის რამდენიმე საქმე, რომლებზეც ევროპულ სასამართლოს გამოტანილი აქვს გადანყვეტილებები საქართველოში ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის საქმეებზე. ეს კი ნიშნავს, რომ საქართველოში ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის პრობლემა საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან შეუსაბამობით კი არ არის განპირობებული, არამედ მარეგულირებელი კანონმდებლობის პრაქტიკაში აღსრულების სირთულეებით. კერძოდ, საქმე *თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ*⁵⁸ ეხებოდა სიტუაციას, რომელშიც ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო პრევენციული ღონისძიებების გატარება ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დასაცავად. ამ საქმეში მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მისი შვილის (M.T.) პარტნიორი მამაკაცი (L.M.) ახდენდა მის შვილზე ძალადობას, რაც დასრულდა M.T.-ს სიცოცხლის მოსპობით. ამის შემდეგ L.M.-მ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

უბედურ შემთხვევამდე ექვსი თვის განმავლობაში M.T.-მ და მოსარჩელემ, სულ მცირე, შვიდჯერ მიმართეს პოლიციას დახმა-

⁵⁸ Tkhelidze v Georgia, [2021] ECHR (Appl. No. 33056/17).

რებისათვის. პოლიციისათვის მიმართვისას ისინი ყოველთვის დეტალურად აღწერდნენ L.M.-ს მხრიდან განხორციელებული ძალადობის ხარისხს. მართალია, მოსარჩელემ და M.T.-მ პოლიციას არაერთხელ მიმართეს, მას არ დაუწყია სისხლის სამართლის გამოძიება და არ ყოფილა გამოცემული შემაკავებელი ორდერი, მიუხედავად იმისა, რომ M.T.-ს აღენიშნებოდა ფიზიკური ძალადობის ნიშნები. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც პოლიციამ იცოდა, რომ L.M. პათოლოგიურად ეჭვიანი და ფსიქიკურად არასტაბილური იყო, ჰქონდა ბრაზის მართვის სირთულეები, კრიმინალური წარსული და იყო ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მომხმარებელი. პოლიციამ ასევე იცოდა, რომ M.T. ყოველთვის თანატარებდასხვადასხვათავდაცვითიარაღსდაგანიცდიდაუკიდურეს შიშსა და შფოთვის, როდესაც ხედავდა, როგორ უახლოვდებოდა მისი პარტნიორი მის სახლს ან სამსახურს. ყველა ეს გარემოება ადასტურებდა M.T.-ს მიმართ L.M.-ისაგან მომდინარე საფრთხის რეალურობას. ამას გარდა, ის ძალადობა, რომელსაც M.T. განიცდიდა, არ შეიძლება დანახული ყოფილიყო როგორც ინდივიდუალური და ცალკე აღებული ეპიზოდი, არამედ უნდა ყოფილიყო განხილული როგორც განგრძობადი სიტუაცია.

საქმის განხილვის შედეგად ევროპულმა სასამართლომ დამაკმაყოფილებლად მიიჩნია ზოგადად ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩო, რომელიც შექმნილი იყო ქალების მიმართ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. სასამართლოს აზრით, პრობლემა იყო სამართალდამცავი ორგანოების მიერ შემაკავებელი მექანიზმის შესრულების ხარისხში, კერძოდ კი მოსარჩელის შვილის მიმართ პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გატარების ვალდებულების შეუსრულებლობაში.

სასამართლოს აზრით, როდესაც ოჯახში ძალადობა განგრძობადი ხასიათისაა, საეჭვოდ არ უნდა ჩაითვალოს ის, რომ მსხვერპლისათვის წარმოშობილი საფრთხე არის მყისიერი. აქედან გამომდინარე, პოლიციამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ მოსარჩელის შვილის სიცოცხლისათვის არსებობდა რეალური და მყისიერი საფრთხე.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მისთვის თვალნათელი იყო რამდენიმე მნიშვნელოვანი მარცხი, რომლებიც განიცადა სამართალდამცავმა ორგანოებმა ამ საქმესთან მიმართებით. უპირველეს ყოვლისა, არსებობდა მინიშნებები პოლიციის ოფიცრების მიერ მტკიცე-

ბულებათა არაზუსტი და არასრულყოფილი შეგროვების შესახებ. ოჯახში ძალადობის შემთხვევის საპასუხოდ მტკიცებულებების შეგროვების ხარვეზებს შეეძლო გამოენვია ძალადობის ხარისხის არასათანადო შეფასება, მოეხდინა უარყოფითი გავლენა სისხლის სამართლის გამოძიების დაწყების პერსპექტივაზე და განეპირობებინა ძალადობის მსხვერპლისათვის გულის აცრუებაც კი იმაზე, რომ მას მომავალში ხელისუფლებისათვის შეეტყობინებინა ოჯახის მოძალადე წევრის შესახებ. ევროპულმა სასამართლომ ასევე მიუთითა: როდესაც ხდებოდა შემთხვევების დაფიქსირება, არაფერი ადასტურებდა, რომ პოლიციის ოფიცრები ახდენდნენ „სასიკვდილო საფრთხის შეფასებას“ დამოუკიდებელი, პროაქტიური და ყოვლისმომცველი გზით. პოლიციის ოფიცრებმა არ მიანიჭეს საკმარისი მნიშვნელობა ძალადობის პოტენციურად მაპროვოცირებელ ფაქტორებს, როგორებიცაა: L.M.-ს ალკოჰოლზე დამოკიდებულება, მისი პათოლოგიური ეჭვიანობა და ა.შ. ამასთანავე, სახელმწიფომ მხედველობაში არ მიიღო, როგორ აღიქვამდა მსხვერპლი საფრთხეს. პოლიციამ ამჯობინა, შემთხვევა დაეკვალიფიცირებინა „უმნიშვნელო ოჯახურ კინკლაობად“ (minor family altercation).

სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ, მიუხედავად იმისა, ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო ითვალისწინებდა მოძალადის მიმართ დროებით შემზღუდველ ღონისძიებებს, როგორებიცაა დამცავი და შემაკავებელი ორდერები, შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა საერთოდ არ გამოიყენეს ეს ღონისძიებები. მეტიც, არც მოსარჩელისათვის და არც მისი შვილისათვის პოლიციას არ გაუწევია კონსულტაცია მათი საპროცესო უფლებების შესახებ და მათთვის ხელმისაწვდომი სხვადასხვა საკანონმდებლო და ადმინისტრაციული დაცვითი ღონისძიების შესახებ. პირიქით, პოლიციელებმა შეცდომაში შეიყვანეს ისინი იმით, რომ უთხრეს – არ შეეძლოთ მოძალადის დაკავება ან სხვა შემზღუდველი ღონისძიების გატარება.

M.T.-სა და მოსარჩელეს მიერ განმეორებით წარდგენილი არაერთი საჩივრის გათვალისწინებით, არსებობდა მრავალი მტკიცებულება, რომელიც ამართლებდა სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების დაწყებას L.M.-ის წინააღმდეგ, რაც შესაძლებელს გახდიდა მის მოთავსებას წინასწარ პატიმრობაში. სასამართლოს აზრით, დასანანია, რომ სამართალდამცველმა ორგანოებმა არ გააკეთეს ეს.

ზოგადად ქვეყანაში, ოჯახში ძალადობის საერთო მდგომარეობის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გატარება, რამაც ძირითადი გამოუთხარა მოსარჩელისა და მისი შვილის უფლებებს, ესარგებლათ თანაბარი დაცვით კანონის წინაშე. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულება (არსებით ნაწილში).⁵⁹ ასევე საინტერესოა საქმე *A და B საქართველოს წინააღმდეგ*,⁶⁰ რომელშიც სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო პოლიციის ოფიცრის მიერ გენდერული ნიშნით ძალადობის თავიდან აცილება და საქმის ეფექტიანი გამოძიება. ამ საქმეში მოსარჩელები იყვნენ *C*-ს დედა და შვილი. *C*-ს სიცოცხლე მოსპო მისმა პარტნიორმა (*D*-მ), რომელიც იყოს პოლიციის ოფიცერი. რამდენიმე წლის განმავლობაში *C*-მ და მისმა ოჯახმა არაერთხელ შეატყობინეს პოლიციას *D*-სგან მომდინარე ძალადობის ფაქტების შესახებ, რომელსაც თავისი პარტნიორის მკვლელობის გამო სასჯელი შეეფარდა. პირველი მოსარჩელე, თავისი და მეორე მოსარჩელის სახელით, ასაჩივრებდა იმას, რომ პოლიციის ოფიცრებმა და პროკურორებმა ვერ შეძლეს *C*-ს სიცოცხლის უფლების დაცვა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ იცოდა ან უნდა სცოდნოდა მსხვერპლის სიცოცხლისათვის არსებული საფრთხისა და შექმნილი სიტუაციის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ იცოდა *C*-ს სიცოცხლისათვის შექმნილი რეალური და მყისიერი საფრთხის შესახებ, სახელმწიფომ არ გაატარა შემაკავებელი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფდა *C*-ს დაცვას. ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სამართალდამცავი ორგანოების პასიურობა კიდევ უფრო შემამოფრთხილებელი იყო იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მოძალადე თავად იყო პოლიციის ოფიცერი, რომელიც თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას ბოროტად იყენებდა *C*-სთან მიმართებით. სასა-

⁵⁹ ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში.

⁶⁰ *A and B v. Georgia*, [2022] ECHR (Appl. No. 73975/16).

მართლმ ხაზი გაუსვა იმას, რომ პოლიციამ არა მხოლოდ არ აღკვეთა მოძალადის დაუსჯელობისა და უკანონობის დემონსტრირება, არამედ ნება დართო მას, მონაწილეობა მიეღო C-ს დაკითხვაში და მალე ის დაანინაურეს კიდეც.⁶¹

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა: ეს საქმე არის იმის აშკარა მაგალითი, რომ ოჯახში ძალადობის მტკიცებასთან მიმართებით სამართალდამცავი ორგანოების ზოგადმა და დისკრიმინაციულმა პასიურობამ შეიძლება შექმნას კლიმატი, რომელიც ხელს შეუწყობს, კიდეც უფრო გავრცელდეს მსხვერპლის წინააღმდეგ ძალადობა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ქალია. მიუხედავად სხვადასხვა შემაკავებელი ღონისძიების ხელმისაწვდომობისა, ხელისუფლებამ არ მოახდინა გენდერული ნიშნით ძალადობის თავიდან აცილება მოსარჩელეთა ოჯახის წევრის მიმართ, რამაც გამოიწვია მისი სიკვდილი. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულება არსებით ნაწილში, კონვენციის მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) მიმართებით.⁶²

საქართველოში ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული მესამე საქმის – *გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ*⁶³ – მიხედვით, გარდაცვალებამდე ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მოსარჩელის შვილმა თექვსმეტჯერ შეიტანა საჩივარი პოლიციაში თავისი პარტნიორი მამაკაცის წინააღმდეგ.

როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, „საქმის მასალებიდან ჩანს, რომ ცამეტ შემთხვევაში პოლიციამ დაუყოვნებლივი რეა-

⁶¹ გადაწყვეტილება (სქოლიო 60), 48-ე პუნქტი.

⁶² გადაწყვეტილება (სქოლიო 60), 49-ე პუნქტი. ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა სახელმწიფოს მიერ მე-2 მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულების დარღვევა საპროცესო ნაწილში, კონვენციის მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) მიმართებით. 46-ე პუნქტი. ასევე იხ. *Y* და *სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ* (გადაწყვეტილება (სქოლიო 26)); *ლანდი იტალიის წინააღმდეგ* (*Landi v. Italy*, [2022] ECHR, (Appl. No. 10929/19), რომელშიც მოძალადე ქმარმა დაჭრა თავისი ცოლი და მოკლა ერთი წლის შვილი.

⁶³ *Gaidukevich v Georgia*, [2023] ECHR (Appl. No. 38650/18).

გირება მოახდინა და გაგზავნა პატრულის ეკიპაჟი. სამ შემთხვევაზე გამოიცა შემაკავებელი ორდერი, რომლებიც, როგორც ჩანს, გ.კ.-ს არ დაურღვევია, თუმცა, სულ მცირე სამ შემთხვევაზე, სასწრაფო დახმარების გამოძახებიდან მალევე, ა.ლ.-მ უარი თქვა დახმარებაზე და პოლიციამ აღარ გამოიძია მისგან შემოსული შეტყობინებები. სტრასბურგის სასამართლო ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა განსაკუთრებით დაუცველი სიტუაციის გამო, საკანონმდებლო ბაზა უნდა აძლევდეს ხელისუფლებას უფლებამოსილებას, გამოიძიოს ოჯახში ძალადობის შემთხვევები საკუთარი ინიციატივით, როგორც საჯარო ინტერესი. ამრიგად, პირის მიერ სისხლის სამართლის საჩივრის შეტანის შეუძლებლობამ ან შეტანილი საჩივრის უკან გამოსხმობამ ხელი არ უნდა შეუშალოს ხელისუფლებას, დაიწყოს ან განაგრძოს სისხლისსამართლებრივი დევნა სავარაუდო დამნაშავეს მიმართ, ასევე ხელისუფლება არ უნდა გათავისუფლდეს მოვალეობისგან, შეაფასოს სიტუაციის სიმძიმე შესაბამისი გამოსავლის ძიების მიზნით.⁶⁴

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების ამ ასპექტის მხედველობაში მიღება როგორც საქართველოს კანონმდებლობის, ისე პრაქტიკის შემდგომი დახვეწის თვალსაზრისით.

პრაქტიკაში წარმოშობილ ერთ-ერთ პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება საქართველოს სახალხო დამცველმა თავის ყოველწლიურ ანგარიშში, რომლის მიხედვით, „განსაკუთრებულ პრობლემად გამოიკვეთა არასათანადო საფუძვლით ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ზოგიერთ საქმეში რისკის შეფასებაზე უარის თქმა“.⁶⁵ კერძოდ, ანგარიშის მიხედვით, „საქართველოს კანონმდებლობა რისკის

⁶⁴ ამონარიდი სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ქართულ ენაზე, 71-ე პუნქტი, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <<https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/ANALITIKURI/გაიდუკევიჩი%20საქართველოს%20წინააღმდეგ.pdf>> [23.08.2025].

⁶⁵ საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი, 201, იხ.: <<https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf>> [22.08.2025].

შეფასების დოკუმენტის შესავსებად რაიმე სახის სამართლებრივ საფუძველს არ ითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, შესწავლილი საქმეების შედეგად დადგინდა, რომ პრაქტიკაში რისკის შეფასების დოკუმენტის შესავსებად სამართლებრივ საფუძველს ითხოვენ და ძალადობის მსხვერპლი ქალების გამოკითხვის შემდგომ წყვეტენ, შეავსონ თუ არა რისკის შეფასების დოკუმენტი და, შესაბამისად, გამოსცენ თუ არა შემაკავებელი ორდერი.⁶⁶ ცხადია, რომ საქართველოს კანონმდებლობა მოითხოვს ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის შემთხვევაზე რეაგირებისას ასეთი კითხვარის შევსებას და მისი შევსება არ არის დამოკიდებული პოლიციელის დისკრეციაზე, შეავსოს თუ არა ძალადობის რისკის შეფასების დოკუმენტი. ამას კი შეიძლება შედეგად მოჰყვეს ძალადობის რისკების შეუფასებლობა, თანმხლები შედეგებით.⁶⁷

დასკვნის სახით, აღსანიშნავია, რომ, როგორც გაირკვა, საქართველოში ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის თვალსაზრისით, არსებობს არა მოქმედი კანონმდებლობის ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან შეუსაბამობის პრობლემა, არამედ ამ სტანდარტების არაეფექტიანი შესრულების პრობლემა. ამიტომ უნდა გატარდეს ღონისძიებები ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის მიმართ შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობაში წარმოშობილი იმ ხარვეზების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრისათვის, რომლებიც იწვევს ევროპული სასამართლოს სტანდარტების დარღვევას.

გარდა ამ ხარვეზების აღმოფხვრისა, ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად მნიშვნელოვანია, გააქტიურდეს ცნობიერების ამაღლების კამპანია ზოგადად მოსახლეობაში. ამის საჭიროება გამომდინარეობს თუნდაც იმ ფაქტიდან, რომ ძალადობის მსხვერპლ ქალებს შორის პოლიციას დახმარებისათვის მიმართა ქალების მხოლოდ 11,8 პროცენტმა.⁶⁸ ამიტომ, ქალთა მიმართ/ოჯახში

⁶⁶ იხ. ანგარიში (სქოლიო 65), სქოლიო 600.

⁶⁷ იხ. ანგარიში (სქოლიო 65), 201, ასევე, სქოლიო 600; ასევე იხ., სახელმწიფოს რეაგირება გენდერულად მოტივირებულ ძალადობაზე საქართველოში: კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, 2024, 92, იხ.: <https://gyla.ge/files/genderi_geo.pdf> [22.08.2025].

⁶⁸ ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, 2022,

ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიანად საბრძოლველად აუცილებელია, რომ აქტიურად წარიმართოს ცნობიერების ამაღლების კამპანია საზოგადოების წევრებისათვის ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის მექანიზმებზე ინფორმაციის მისაწოდებლად, რაც დაარწმუნებს მათ ძალადობის მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრის საჭიროებაში და მოქმედი მექანიზმების ეფექტიანობასა და სანდოობაში.

IV. დასკვნა

საქართველოში ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის ანალიზის შედეგად შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე დასკვნა და გამოითქვას რეკომენდაციები, კერძოდ:

საქართველოს კანონმდებლობის შესწავლამ გამოავლინა, რომ ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მარეგულირებელი კანონმდებლობა აკმაყოფილებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილ მოთხოვნებს. რაც შეეხება პრაქტიკას, არსებული მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ, მართალია, ბოლო წლებში გადიდდა ქმედითი ნაბიჯები საქართველოში ქალთა/ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, მათ შორის საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების, კანონმდებლობისა და პრაქტიკის გაუმჯობესების, ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლის გაზრდისა და მსხვერპლთა დაცვის სამართლებრივი მექანიზმის განახლებული ფორმით ამოქმედების თვალსაზრისით, საქართველოში ქალთა/ოჯახში ძალადობის მიმართ რთული მდგომარეობაა. ამას მოწმობს როგორც კონკრეტული ფაქტები და სტატისტიკა, ისე ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებები.

აქედან გამომდინარე, საქართველოში ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის პრობლემა ევროპულ სტანდარტებთან მოქმედი კანონ-

136, იხ.: <https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/updated_vaw_geo_web4-3.pdf> [22.08.2025].

მდებლობის შეუსაბამობით კი არ არის განპირობებული, არამედ პრაქტიკაში მისი აღსრულების სირთულეებით. ამიტომ აუცილებელია, რომ გაგრძელდეს ეფექტიანი ღონისძიებების გატარება ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობაში წარმოშობილი იმ ხარვეზების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრისათვის, რომლებიც იწვევს ევროპული კონვენციის დარღვევას. ამას გარდა, ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიანად საბრძოლველად აუცილებელია, რომ აქტიურად წარიმართოს ცნობიერების ამაღლების კამპანია საზოგადოების წევრებისათვის ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის მექანიზმებზე ინფორმაციის მისაწოდებლად, რაც დაარწმუნებს მათ ძალადობის მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრის საჭიროებაში და მოქმედი მექანიზმების ეფექტიანობასა და სანდოობაში.

გვანცა ბესელია*

ეთიკის კოდექსი საქართველოს საჯარო სამსახურში: ფორმალური სამართლებრივი ინსტრუმენტი თუ ღირებულებითი სისტემის შექმნის საფუძველი?

I. შესავალი	37
II. სამართლებრივი კულტურა და ეთიკა საჯარო სამსახურში: კონცეპტუალური ჩარჩო	38
1. კანონისა და ეთიკის ურთიერთმიმართება	40
2. და მაინც, რა საჭიროა ეთიკის კოდექსი?	43
III. ეთიკის დანერგვა საქართველოს საჯარო სამსახურში: პირველი ქცევის კოდექსი	45
1. კოდექსის შემუშავება და სტატუსი	47
2. იურიდიული შინაარსი და „რბილი ლექსიკური მექანიზმი“	49
3. მარეგულირებელი ჩარჩო აღსრულების მექანიზმის გარეშე	51
4. საჯარო ინტერესის კონცეფცია და ხიდი ღირებულებით სისტემასთან	52
IV. დასკვნა	55

* სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA).

I. შესავალი

კანონი, როგორც ქცევის მარეგულირებელი ფუნდამენტური ინსტრუმენტი, საჯარო სამსახურში მოხელეთა საქმიანობის გარეგან სტანდარტებს ადგენს. ის უზრუნველყოფს მოქმედების მკაფიო ჩარჩოს და განსაზღვრავს, რა უნდა გაკეთდეს კონკრეტულ გარემოებებში. თუმცა, მიუხედავად კანონის მარეგულირებელი ძალისა, ხშირად აუცილებელი ხდება დამატებით ეთიკური ნორმების შემოტანა, რათა სრულყოფილად დარეგულირდეს საჯარო მოხელეების ქცევა. კანონსა და ეთიკას შორის კავშირი გადამწყვეტ როლს თამაშობს საჯარო სამსახურში, რადგან ორივე მოქმედებს საჯარო მმართველობის სფეროში და არეგულირებს ერთსა და იმავე სუბიექტებს – საჯარო მოხელეებს. ისინი უზრუნველყოფენ ნორმების ერთობლიობას, რომელიც აყალიბებს და არეგულირებს საჯარო მოხელეების ქცევას, თითოეული დადგენილია შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ განსაზღვრული პროცედურებით. ამ ორ სისტემას შორის ურთიერთობა ხშირად აღწერილია, როგორც „ძლიერი“ (კანონი) და „რბილი“ (ეთიკა) ძალის ურთიერთქმედება. ე.წ. „ეთიკის ათნლეულის“¹ დასაწყისიდან, საჯარო მმართველობაში ეთიკის როლის მოლოდინი ხშირად აღემატებოდა მის პრაქტიკულ გავლენას. მთავარი გამოწვევა მკაფიო საზღვრის დადგენა და ჯანსაღი ბალანსის შენარჩუნება იყო: ერთი მხრივ, ეთიკის ზედმეტი რეგულირებისა და მეორე მხრივ, კანონის გადაჭარბებული მორალიზაციის ან „ეთიკიზაციის“ თავიდან ასაცილებლად.

დღევანდელ კონტექსტში, მთავარი საკითხი აღარ არის ეთიკის საერთოდ შემოღების აუცილებლობა, არამედ ის, თუ რეგულირების რა ფორმა უნდა იქნეს გამოყენებული და როგორ უნდა გაველოს მკაფიო ზღვარი კანონსა და ეთიკას შორის. ამისათვის მნიშვნელოვანია შეიქმნას მკაფიო და ურთიერთშემავსებელი სივრცე ორივე ჩარჩოსთვის.² ერთი

¹ K. Kenneth, O. P. Dwivedi, *Ethics in the public service: comparative perspective*, Brussels, 1983, 1.

² P. Finn, *The Law and Officials, Ethics in Public Service*, Chapman (Ed.), Edinburgh, 1993, 138.

შეხედვით, მარტივი განსხვავება არის ის, რომ კანონი კარნახობს, თუ რა უნდა გააკეთონ ადამიანებმა გარეგანი წესების მეშვეობით, ხოლო ეთიკა ეხება შიდა ღირებულებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ გადაწყვეტილების მიღებასა და ქცევაზე. თუმცა, ეს ერთი შეხედვით მარტივი განსხვავება ხშირად ბუნდოვანი ხდება პრაქტიკაში, მას შემდეგ რაც ეთიკური ნორმები, რომლებიც, წესით, ზნეობრივ აქცენტებსა და პერსპექტივას ქმნიან, რეგულირდება სამართლებრივი სისტემის – რომელიმე სამართლებრივი აქტის – ფორმით. ამგვარად რთულდება მათი მკაფიოდ გამოიჯვნა და გაუგებარი ხდება, რა საჭიროა ცალკე ეთიკა, თუკი ის კვლავ სამართლის სისტემის პრაქტიკას გამოიყენებს. არსებობს თუ არა მკაფიო ზღვარი კანონსა და ეთიკას შორის, თუ ე.წ. „რბილი“ ნორმების მიუხედავად ეთიკაც სამართლის ნაწილი ხდება. არის თუ არა ეთიკა ისეთი ინიციატივების შემომტანი, რომლებიც უფრო ადამიანებზეა ორიენტირებული და ღირებულებებზე დაფუძნებული მიდგომისკენ უბიძგებს, ლეგალისტური მოდელის მიღმა.

სწორედ ამ შეკითხვების გაანალიზებაზე, საქართველოს გამოცდილებაზე აქცენტით, და კანონსა და ეთიკას შორის რთული ურთიერთკავშირის გამოკვლევაზე, ეთიკის კოდექსის ბუნებასა და სამართლისა და მორალურ-ღირებულებით სისტემებში მისი ადგილის გაანალიზებაზეა ორიენტირებული წინამდებარე სტატია, სადაც განხილული იქნება სამართლებრივი კულტურის მნიშვნელობა და ეთიკის როლი საჯარო სამსახურის ფორმირებაში, ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით.

II. სამართლებრივი კულტურა და ეთიკა საჯარო სამსახურში: კონცეპტუალური ჩარჩო

სამართლებრივი კულტურა საჯარო სამსახურის თანაბრად მნიშვნელოვანი ასპექტია და ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორგანიზაციული კულტურისა და სისტემაში არსებული პირადი და კოლექტიური ქცევებისა და შეფასებების ჩამოყალიბებაში. სამართლებრივი კულტურა მოიცავს საზოგადოების გაგებას, დამოკიდებულებებსა და ქცევებს სამართლებრივი სისტემის მიმართ და იმ

ღირებულებებს, იდეოლოგიებსა და პრინციპებს, რომლებსაც იცავენ ამ სისტემაში მოქმედი პროფესიონალები.³ ყველა ქვეყნისათვის დამახასიათებელ სამართლებრივ კულტურას, მათ შორის, ის ინდივიდებიც განსაზღვრავენ, რომლებიც ასრულებენ სპეციალიზებულ სამართლებრივ ამოცანებს.⁴ ეს ინდივიდები არ არიან მხოლოდ მოსამართლეები და იურისტები, არამედ მათი დიდი ნაწილი საჯარო მოხელეა, რომელთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს კონკრეტული სამართლებრივი შედეგები მოაქვთ მოქალაქეებისთვის. ამიტომ, საჯარო მოხელეების დამოკიდებულებებისა და ქცევების ეთიკური განზომილება გადამწყვეტ როლს თამაშობს საჯარო სამსახურში სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებაში.

სამართლებრივი სისტემის კონცეპტუალიზაციის ერთ-ერთი გზაა ურთიერთქმედების დანახვა სამართლებრივი ინსტიტუტების საქმიანობას, მათი ფუნქციების შესრულების მეთოდებსა და ამ ქმედებათა შედეგებს შორის.⁵ ეს სამი ელემენტი კი უშუალოდ უკავშირდება კულტურულ კომპონენტებს, როგორებიცაა ღირებულებები, დამოკიდებულებები, ჩვევები და კონტექსტები, რომლებშიც ინდივიდები სამართალს მიმართავენ.⁶ ეთიკის მიზანიც სწორედ სამართლებრივი კულტურის ამ ბოლო კომპონენტის ტრანსფორმაციაა, თუმცა, კონტინენტური სამართლის ტრადიციების მქონე საქართველოს საჯარო სამსახურის სისტემაში ეთიკური ღირებულებების სამართლებრივი მექანიზმებით რეგულირებამ (ეთიკის ლეგალიზაცია) სულ უფრო ბუნდოვანი გახდა დისკუსია, თუ რომელი სისტემის ნაწილია ეთიკა – სამართლის თუ მორალის.

ამ კონტექსტში, უმნიშვნელოვანესია იმის გააზრება, თუ რა როლი ენიჭება ეთიკის კოდექსებს და რა არის მათი განსხვავება კანონთან მიმართებით. სწორედ ამ საკითხებს განვიხილავთ მომდევნო ქვეთავებში.

³ L. M. Friedman, *The Legal System: A Social Science Perspective*, New York, 1975, 193.

⁴ L. M. Friedman (სქოლიო 3), 223.

⁵ L. M. Friedman, *Legal Culture and Social Development*, *Law & Society Review*, Vol. 4, Issue 1, August 1969, 33.

⁶ L. M. Friedman (სქოლიო 5), 34.

1. კანონისა და ეთიკის ურთიერთმიმართება

კანონი, ძირითადად, არეგულირებს ქმედების გარეგან მახასიათებლებს და განსაზღვრავს, რა უნდა გაკეთდეს, მაშინ, როცა ეთიკა ფოკუსირებულია შინაგან დამოკიდებულებებზე – როგორ უნდა გაკეთდეს და რა განზრახვით. კანონი გვთავაზობს მოქმედების მკაფიო, ხშირად ხისტ ჩარჩოს, რომელიც ადგენს მზა წესებს იმის შესახებ, რა არის სწორი ან არასწორი კონკრეტულ გარემოებებში. ამის საპირისპიროდ, ეთიკა აერთიანებს ინდივიდებს რეფლექსურ პროცესში, უბიძგებს მათ დილემების განხილვისაკენ, ღირებულებების შეწონვისა და განსჯისაკენ.

კანონი, როგორც წესი, მცირე ადგილს ტოვებს ინდივიდუალური ინტერპრეტაციისთვის; ის განსაზღვრავს კონკრეტულ მოცემულობას და კანონთან შესაბამისობის ან შეუსაბამობის შედეგებს. ნორმის ინტერპრეტაცია არის არა საჯარო მოხელეების კომპეტენცია, არამედ მკაცრად განეკუთვნება სასამართლოს შეზღუდული და ფორმალური საზღვრების ფარგლებში. თუმცა, ეთიკა მოქმედებს ნაცრისფერ ზონებში, სადაც კანონი მთავრდება ან ბუნდოვანებას ტოვებს. ის ეხება ქცევის სტანდარტებსა და შინაგან რწმენებს, დამოკიდებულებებსა და ღირებულებებს, რომლებიც უფრო ღრმად აყალიბებენ ქცევას. ეთიკა არ ეხება მხოლოდ სამართლებრივ შესაბამისობას, ის ეხება კეთილსინდისიერ ქმედებას.

მიუხედავად აღნიშნული განსხვავებებისა, კანონი და ეთიკა ურთიერთკავშირშია. ზოგიერთი ღირებულება, რომელიც ტრადიციულად ეთიკასთან ასოცირდება – ადამიანის ღირსება, სამართლიანობა, თანასწორობა – განმტკიცებულია და ხილული ხდება კანონის მეშვეობით, განსაკუთრებით კონსტიტუციებში. კონსტიტუციურმა სამართალმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ამ ღირებულებების საზოგადოებებში უნივერსალიზაციაში. კანონი ქმნის სისტემას, ეთიკა კი ადამიანებს აერთიანებს ამ სისტემაში მათი კეთილსინდისიერებით. კანონი მოქმედებს დამოუკიდებლად, სისტემატურად და უპიროვნოდ, ხოლო ეთიკას, ამის საპირისპიროდ, შემოაქვს განსჯის თავისუფლება. ის შედის იმ სივრცეებში, სადაც კანონი ვერ აღწევს, აძლიერებს ღირებულებებს იქ, სადაც კანონი შეიძლება გაჩუმდეს ან ზედმეტად პროცედურული გახდეს.

როგორც კანონი, ისე ეთიკა ცდილობს ადამიანის ქცევის ჩამოყალიბებას და გაზიარებული ღირებულებების ხელშეწყობას. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია ფორმალურად აცხადებს სახელმწიფოს ფუნდამენტურ ღირებულებებს, საჯარო მოხელეები იშვიათად მიმართავენ მათ უშუალოდ ყოველდღიურ მუშაობაში. ეს კონსტიტუციური ღირებულებები პრინციპში ცნობილია, მაგრამ პრაქტიკას ხშირად დაშორებულია, ინტერპრეტირებულია ტრადიციის, კულტურის ან ფორმალური აუცილებლობის შესაბამისად. მრავალი საჯარო მოხელისთვის პრიორიტეტი ხდება შესაბამისი პროცედურებისა და წესების სწორად შესრულება. დროთა განმავლობაში ამ პროცედურულმა ფოკუსმა შეიძლება გამოიწვიოს რუტინული, ავტომატური ქცევა, მაგრამ დააშოროს იმ ფუნდამენტურ ღირებულებებს, რომლებიც სწორედ ამ ფორმალური წესების შთაგონება იყო. ეთიკური და ღირებულებითი განსჯის რეფლექსი სწორედ ამ ბიუროკრატიულ რუტინაში იკარგება.

ეს არ ნიშნავს, რომ საჯარო მოხელეები არ იცნობენ კონსტიტუციურ პრინციპებს. პირიქით, მათ ხშირად იცინან და პატივს სცემენ ამ ღირებულებებს, თუმცა ისინი აღიქმება, როგორც შორეული და აბსტრაქტული, ვიდრე ყოველდღიურ საქმიანობაში გამოსაყენებელი. მათი მუშაობა მაინც ირიბად უკავშირდება კონსტიტუციურ ღირებულებებს სამართლებრივი ჩარჩოს მეშვეობით, თუმცა ადმინისტრაციული დეტალების ფენები ხშირად ბუნდოვანს ხდის ამ კავშირს. სწორედ აქ შემოდის ეთიკა, არა როგორც კანონის შემცვლელი, არამედ როგორც ხიდი. ეთიკა ხელახლა აკავშირებს საჯარო მოხელეების ყოველდღიურ საქმიანობას საჯარო სამსახურის დამფუძნებელ პრინციპებთან; ხელს უწყობს მორალური წარმოსახვის აღდგენას, რომელიც აუცილებელია წესების ინტერპრეტაციისთვის ისე, რომ პატივი სცეს მათ თავდაპირველ განზრახვას. ის აცოცხლებს კავშირს კონსტიტუციურ ღირებულებებს, პირად კეთილსინდისიერებასა და ორგანიზაციულ კულტურას შორის.

ამ კონტექსტში, მნიშვნელოვანია ჯონ რორის „რეჟიმის ღირებულებების“⁷ კონცეფციის გააზრება, რომელიც საჯარო სამსახურის

⁷ J. A. Rohr, *Ethics for Bureaucrats: an essay on law and values*, second edition, revised and expanded, New York, 1989.

ეთიკას განიხილავს პოლიტიკური სისტემის კონსტიტუციური ჩარჩოდან. რორის თანახმად, კონსტიტუცია არის არა მხოლოდ იურიდიული დოკუმენტი, არამედ წარმოადგენს უმთავრეს ეთიკურ წყაროს, რომელიც ქმნის ისეთ ძირეულ ღირებულებებს, როგორებიცაა სამართლიანი წარმოება, თანასწორობა, თავისუფლება და ხელისუფლების დანაწილება. შესაბამისად, ის მკაცრად უარყოფს საჯარო მოხელის „ღირებულებისგან ნეიტრალური“ როლის ცნებას, რადგან ბიუროკრატია არ შეიძლება და არც უნდა იყოს ღირებულებისგან ნეიტრალური. ამის ნაცვლად, რორი ამტკიცებს, რომ საჯარო მოხელეები არიან კონსტიტუციური წესრიგის დამცველები და, არსებითად, კონსტიტუციის ინტერპრეტატორები და გამომყენებლები თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში, მიუხედავად იმისა, რამდენად ალიკვამენ ამას ყოველდღიური რუტინის პერსპექტივიდან. მათ ევალებათ ამ ფუნდამენტური ღირებულებების დაცვა და ხელშეწყობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში უნევთ გადაწყვეტილებების მიღება.

თუკი კანონი (კონსტიტუციის ჩათვლით) უკვე არის ღირებულებების ასეთი მძლავრი წყარო, მაშინ რა საჭიროება რჩება ეთიკის ცალკეული, ხშირად ლეგალიზებული ფორმით შემოტანისა, განსაკუთრებით ისეთ სისტემებში, როგორიც საქართველოა, სადაც ნორმატიული დებულებები მიდრეკილია ღირებულებითის ნაცვლად ფორმალური შინაარსისკენ? რორის ნაშრომი სწორედ აქ ანიჭებს ეთიკას უმნიშვნელოვანეს როლს: ის ხაზს უსვამს აუცილებლობას, რომ ეთიკური მოქმედება კანონთან უბრალო შესაბამისობაზე მაღლა დადგეს. ეთიკა კონსტიტუციურ ღირებულებებთან მჭიდრო ბმაშია და, მათი გააზრებით, საჯარო მოხელეს აკავშირებს მის მიერ დადებულ ფიციტან,⁸ რაც არა მხოლოდ ფორმალურ, არამედ ღრმა პიროვნულ და მორალურ ვალდებულებას გულისხმობს. ასეთი მიდგომა, განსაკუთრებით დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, გამოირიცხავს წესების ბრმად და ფორმალურად მორჩილებას. ის უბიძგებს მოხელეს გააზრებული განსჯისკენ, რითაც უზრუნველყოფს, რომ

⁸ J. A. Rohr, Regime Values, Defining Public Administration: Selections from the International Encyclopedia of Public Policy and Administration, Shafritz (Ed.), 2000, 421.

მიღებული გადაწყვეტილებები იყოს არა მხოლოდ კანონიერი, არამედ მორალურად გამართლებული და საზოგადოებრივი სიკეთისკენ მიმართული. ეთიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოყენება სწორედ ეს არის.

2. და მაინც, რა საჭიროა ეთიკის კოდექსი?

ავსებს რა კანონის „ნაცრისფერ ზონებს“, კანონისა და ეთიკის ურთიერთქმედება რთულდება განსაკუთრებით ეთიკის კოდექსების შემოღებით. ამ მიზეზით, საჯარო სამსახურში ეთიკის ინსტიტუციონალიზაციის ნებისმიერი ინიციატივა სიფრთხილით უნდა იქნას განხილული. ეთიკის კოდექსები, რომლებიც, გაცხადებული ღირებულებების საფუძველზე, ქცევის წესების დეტალურ რეგულაციას გვთავაზობენ, იმეორებენ კანონმდებლობის ლეგალისტურ ლოგიკასა და სტილს. სინამდვილეში, ეთიკა უნდა აღიქმებოდეს, როგორც კანონის შემავსებელი, სადაც ხაზგასმულია ფორმალური წესებს უკან არსებული ღირებულებითი საფუძვლები.

საჯარო სამსახურში ეთიკის შემოღება, განსაკუთრებით ქცევის კოდექსების მეშვეობით, განიხილება, როგორც სახელმწიფოს მიერ გაცხადებული ღირებულებების გაძლიერების მცდელობა, რომელიც მეტ მოქნილობასა და განსჯას იძლევა, განსაკუთრებით დისკრეციული გადაწყვეტილების მიღებისას. ეს ქცევის კოდექსები, მიუხედავად მათი სამართლებრივი ფორმისა, განსხვავდება კანონებისგან და წარმართავს ქცევას ისეთ სიტუაციებში, სადაც კანონი შეიძლება არ გვაძლევდეს მკაფიო პასუხებს.

მიუხედავად კანონისა და ეთიკის შორის პარალელებისა, ჩნდება კითხვა, საჭიროა თუ არა ქცევის კოდექსების შემოღება, როცა სამართლებრივი სისტემები უკვე განსაზღვრავს ქცევის სახელმძღვანელო სტანდარტებს. თუ საჯარო ადმინისტრაციის მარეგულირებელი კანონები უკვე მიზნად ისახავს საჯარო მოხელეთა ქცევის ჩამოყალიბებასა და რეგულირებას, რატომ არის საჭირო პარალელური სისტემის – ეთიკის – შემოღება? რა არის ეთიკის ღირებულება ამ კონტექსტში? რა სისტემას გვთავაზობს ეთიკა და რატომ გახდა ის ასეთი მნიშვნელოვანი? ეთიკის გაგების გასაღები მის მკაფიო, მაგრამ ურთიერთშემავსებელ ფუნქციაშია.

ქცევის კოდექსები გვთავაზობს წერილობით ნორმათა სისტემას, რომელიც ხშირად სამართლებრივ ენასა და სტრუქტურას იმეორებს. ეს ფორმალური მსგავსება კანონთან ნაწილობრივ გამოწვეულია არსებული გამოცდილებით და, ნაწილობრივ, აქტის ავტორიტეტისა და ლეგიტიმურობის უზრუნველყოფის სურვილით. სამართლებრივი ფორმების მიზნით ეთიკის კოდექსები უფრო მისაღები ხდება საჯარო მოხელეებისთვის, რომლებიც უკვე შეჩვეულნი არიან წესებზე დაფუძნებულ სისტემებს. ამგვარად, ისინი წარმოადგენენ, ერთი მხრივ, ინოვაციას, რომელიც სისტემას აცნობს ახალ ინსტრუმენტებს საჯარო სამსახურის გასაუმჯობესებლად და, მეორე მხრივ, მისი ფორმალური მხარე საკმარისად ნაცნობია, რათა შეუფერხებლად ინტეგრირდეს არსებულ ორგანიზაციულ და სამართლებრივ კულტურაში.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეთიკის კოდექსები ხშირად ჰგავს სამართლებრივ აქტებს, ისინი განსხვავებულ მიზანს ემსახურებიან. ისინი არ ქმნიან სხვა სამართლებრივ სისტემას, არამედ აძლიერებენ საჯარო სამსახურს კორუფციასთან, არასათანადო მართვასთან და არაეთიკურ გადაცდომებთან ბრძოლაში. ისინი გვთავაზობენ უფრო ღირებულებებზე დაფუძნებულ, ადამიანზე ორიენტირებულ და, ზოგჯერ, უფრო მოქნილ მიდგომას ქცევის სტანდარტიზაციისთვის. შესაბამისად, ეთიკის კოდექსები შესაძლოა გაჩნდნენ არა მხოლოდ ნორმატიული იდეალებიდან, არამედ პრაქტიკული აუცილებლობიდანაც.

სხვადასხვა სამართლებრივ ტრადიციასა და კულტურაში ქცევის კოდექსების ფორმა და ფუნქცია განსხვავებულია. კონტინენტურ სამართლებრივ სისტემებში ეთიკის შემოღება ხშირად იმავი ლოგიკასა და ფორმატს იღებს, როგორსაც ტრადიციული სამართალი – ზოგჯერ თითქმის შეუძლებელს ხდის კოდექსების სამართლებრივი აქტებისგან გარჩევას, გარდა მათი სათაურისა. განსხვავება ამ შემთხვევაში შესაძლოა უკავშირდებოდეს იმას, რომ კანონი მოქმედებს ფორმალურობის ავტორიტეტით, აღსრულებადი სანქციებითა და სასამართლო მექანიზმებით, ხოლო ეთიკის კოდექსები, ძირითადად, კულტურულ ინსტრუმენტებად რჩება თვითრეგულირებისთვის, პროფესიული იდენტობისა და მორალური ცნობიერების გასაძლიერებლად.

ამგვარად, ისევ ვუბრუნდებით მთავარ საკითხს: რატომ იყო საჭირო ქცევის ახალი ჩარჩოსა და ქცევის კოდექსების შემოღება სისტემაში,

რომელიც უკვე რეგულირდება კანონით? პასუხი კანონის საზღვრებშია. კანონი უზრუნველყოფს სტრუქტურას, მაგრამ მნიშვნელობას – ყოველთვის არა. მას შეუძლია განსაზღვროს ქმედება, მაგრამ ხშირად ვერ შთააგონებს მას. კომპლექსური პროცედურებით დახუნძლული, რუტინული პროცედურების მხოლოდ სამართლებრივი რეგულაციების ჩარჩოსთან დატოვება იწვევს ე.წ. „ეთიკურ მინიმალიზმს“, ⁹ სადაც მიზანი მხოლოდ სამართლებრივი დარღვევის თავიდან აცილებაა და არა სანდოობის ან საზოგადოებრივი სიკეთის შექმნისაკენ სწრაფვა. მოკლედ, ეთიკა არ იმეორებს კანონს – ის მას ადამიანურ სახეს აძლევს; უზრუნველყოფს, რომ საჯარო სამსახური იყოს სამართლებრივად შესაბამისი, მორალურად გამართული და სოციალურად სანდო. ეთიკა ქმნის ზნეობრივ კულტურას წესების სისტემაში.

III. ეთიკის დანერგვა საქართველოს საჯარო სამსახურში: პირველი ქცევის კოდექსი

საჯარო სამსახური, უმეტეს შემთხვევაში, მიზნად ისახავს ქცევის კოდექსების შემუშავებასა და დანერგვას ეთიკური ჩარჩოს პრაქტიკაზე გასავრცელებლად. არსებითად, ქცევის კოდექსები ინერგება ინსტრუმენტად, რომელიც ეთიკურ პრინციპებს ქმედით სტანდარტებად გარდაქმნის. ¹⁰ ქცევის კოდექსი ასახავს საჯარო მოხელეების მოსალოდნელ ქცევასა და პროფესიულ სტანდარტებს, ¹¹ ხელს უწყობს „მაღალ მორალურ კეთილსინდისიერებას“. ¹² როგორც

⁹ G. Jellinek, *Die Sozialethische Bedeutung Von Recht, Unrech und Strafe*, second revised edition, Berlin, 1908, 45.

¹⁰ C. Demmke, T. Moilanen, *Effectiveness of Public-Service Ethics and Good Governance in the Central Administration of the EU-27 (Evaluating Reform Outcomes in the Context of the Financial Crisis)*, Frankfurt am Main, 2012, 113-115.

¹¹ K. Kernaghan, *Three Promoting Public Service Ethics: The Codification Option*, *Ethics in Public Service*, Chapman (Ed.), Edinburgh, 1993, 18.

¹² M. W. Huddleston, J. C. Sands, *Enforcing Administrative Ethics*, *The Ethics Edge*, Berman, West, Bonczek (Eds.), 1998, 147.

ნესი, ის მოქმედებს, როგორც შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც გადაწყვეტილებების მიღების, მოხელის ყოველდღიური საქმიანობისა და მოქალაქესთან ურთიერთობის გზამკვლევა, ეხმარება საჯარო დაწესებულებებს მოქალაქეების მოლოდინების დაკმაყოფილებაში.¹³

ამის საპირისპიროდ, ქცევის წესების გვერდით შესაძლოა არსებობდეს ასევე ეთიკის კოდექსებიც. ეთიკის კოდექსები გამოხატავს ძირითად ღირებულებებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს უფრო ზოგადი და აბსტრაქტული ფორმით, ხშირად შემოიფარგლება ერთი, ლაკონური დოკუმენტით. უფრო დეტალური და ოპერატიული ქცევის კოდექსებისგან განსხვავებით, ეთიკის კოდექსები, როგორც წესი, უფრო ადვილია წასაკითხად, გასაგებად და ორგანიზაციის მასშტაბით გასავრცელებლად. თითოეული მათგანი თამაშობს მკაფიო და ურთიერთშემავსებელ როლს საჯარო სექტორში ეთიკური ქცევის ჩამოყალიბებაში. ხშირად ეთიკის კოდექსებს კეთილსინდისიერებაზე დაფუძნებული მიდგომის (*Integrity-based approach*)¹⁴ საფუძვლადაც მიიჩნევენ, რომელიც ხაზს უსვამს შიდა მოტივაციასა და პირად ანგარიშვალდებულებას. ქცევის კოდექსები კი, როგორც წესი, დაკავშირებულია შესაბამისობაზე დაფუძნებულ მოდელთან (*Compliance-based approach*),¹⁵ რომელიც ეყრდნობა ფორმალურ წესებსა და გარე აღსრულების მექანიზმებს. ამ კონტექსტში, ეთიკასა და კანონს შორის დინამიკის შესწავლა არსებითი ხდება.

ეთიკა და ქცევის კოდექსები საჯარო სამსახურში საჯარო მოხელეების ქცევის ჩამოყალიბებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესების წარმართვის ძირითად ინსტრუმენტებს შორისაა. ეს ინსტრუმენტები მიზნად ისახავს საჯარო მოხელეებისთვის იმის გააზრებას, თუ რომელი ქმედებებია ეთიკურად მიზანშეწონილი და რომელი არა, ეხმარება მათ განასხვავონ სწორი და არასწორი პროფესიულ ქცევაში. ეთიკური ცნობიერების ხელშეწყობით, ეთიკის კო-

¹³ J. Palidauskaitė, Codes of Conduct for Public servants in Eastern and Central European Countries, <<https://www.law.kuleuven.be/integriteit/egpa/previous-egpa-conferences/lisbon-2003/paulidauskaitė.pdf>> [22.08.2025].

¹⁴ C. Demmke, T. Moilanen (სქოლიო 10), 113-115.

¹⁵ C. Demmke, T. Moilanen (სქოლიო 10), 113-115.

დექსები ზრდის ალბათობას, რომ საჯარო მოხელეები სწორ საქმეებს სწორი მიზეზების გამო გააკეთებენ¹⁶ და მიიღებენ გადაწყვეტილებებს კეთილსინდისიერებისა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვით.

ინდივიდუალური ქცევის მიღმა, ეს კოდექსები ასევე ასრულებენ უფრო ფართო საკომუნიკაციო მექანიზმის ფუნქციას: ისინი ასახავენ საჯარო სამსახურის დეკლარირებულ ღირებულებებსა და მიზნებს, უზრუნველყოფენ ჩარჩოს, რომელიც ინსტიტუციურ პრაქტიკებს აკავშირებს საზოგადოების მოლოდინებთან. ამ გზით, ისინი ხელს უწყობენ საზოგადოებასა და საჯარო ინსტიტუტებს შორის ნდობის გაღვივებას. ამ იდეებმა შექმნა საფუძველი საქართველოში „საჯარო დანესებულებებში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების“ შემუშავებისთვის (რომელსაც, ჩვეულებრივ, მოიხსენიებენ, როგორც საქართველოს ეთიკის კოდექსს), რომელიც ოფიციალურად მიღებულ იქნა მთავრობის დადგენილების ფორმით 2017 წლის 20 აპრილს.

საქართველოს ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზანია საჯარო სამსახურში ეთიკური კულტურის ხელშეწყობა საჯარო მოხელეებისთვის პროფესიული სტანდარტების განსაზღვრით. ის მიზნად ისახავს ძირითადი პრინციპებისა და ღირებულებების პრაქტიკაში დანერგვას, მიუყვებლობის, ობიექტურობისა და კოლეგიალობის ფუნდამენტის ჩამოყალიბებას და, საბოლოოდ, საჯარო სამსახურის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის გაძლიერებას. კოდექსი ცდილობს უზრუნველყოს საჯარო მოხელეების მიერ ეთიკური ღირებულებების დაცვა და ხელს უწყობს კეთილსინდისიერების კულტურის ჩამოყალიბებას მთელ საჯარო სამსახურში.

1. კოდექსის შემუშავება და სტატუსი

საქართველოში საჯარო სამსახურისთვის ერთიანი ეთიკური ჩარჩოს შემოღების შესახებ დისკუსიები დაიწყო საჯარო სამსახურის რეფორმის პროცესში 2013-2014 წლებში. ანტიკორუფციული კანონმდებლობის, განსაკუთრებით „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შემუშავების პარალელ-

¹⁶ S. C. Gilman, *Ethics Codes and Codes of Conduct as Tools for Promoting an Ethical and Professional Public Service: Comparative Successes and Lessons*, Washington, DC, 2005, 8.

ლურად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ეთიკური სტანდარტების დამდგენი ერთიანი დოკუმენტის – ეთიკისა და ქცევის წესების მიღების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეთიკური პრინციპები საქართველოს საჯარო სექტორისთვის სრულიად ახალი არ იყო (იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა პროფესიულ ჯგუფს, როგორცაა მოსამართლეები, პროკურორები, პოლიციელები, ადვოკატები და სხვ., უკვე მიღებული ჰქონდა საკუთარი ეთიკის კოდექსები), არ არსებობდა ყოვლისმომცველი ჩარჩო, რომელიც ვრცელდებოდა ყველა საჯარო მოხელეზე.

საქართველოს ეთიკის კოდექსი საჯარო სამსახურის რეფორმის პროდუქტად იქცა, თუმცა მისი შემუშავება არ ეყრდნობოდა საფუძვლიან ემპირიულ შეფასებას. შეზღუდული მონაცემები არსებობდა იმის შესახებ, თუ რა ღირებულებები უნდა ყოფილიყო ხაზგასმული, რა სახის ორგანიზაციული კულტურა უნდა ყოფილიყო განვითარებული, ან იყვნენ თუ არა საჯარო მოხელეები მზად ეთიკური ჩარჩოებისა და სტანდარტების მისაღებად. გარდა ამისა, კითხვები რჩებოდა იმის შესახებ, არსებობდა თუ არა ეფექტური განხორციელებისა და აღსრულების მექანიზმები. OECD-ის¹⁷ მონიტორინგის პირველმა რაუნდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს ეთიკური სტანდარტები ფრაგმენტული და გაბნეული იყო მრავალ სამართლებრივ აქტში, მათ შორის „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში და შიდა ინსტიტუციურ რეგულაციებში. თუმცა, არ იყო დადგენილი ერთიანი ქცევის კოდექსი, რის გამოც საქართველო შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი OECD-ის რეკომენდაცია №14-თან.¹⁸ ეს მიუთითებდა იმაზე, რომ ზოგადი ეთიკის კოდექსის შექმნის ძირითადი მამოძრავებელი ძალა იყო საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების აუცილებლობა.

¹⁷ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (Organisation for Economic Co-operation and Development).

¹⁸ OECD (2006), *Anti-Corruption Reforms in Georgia: 1st Round of Monitoring Under the Istanbul Anti-Corruption Action Plan*, OECD Publishing, Paris, <<https://doi.org/10.1787/2f0c38ce-en>> [22.08.2025].

პროექტის შემუშავების პროცესში განიხილებოდა სამი ძირითადი საკითხი: კოდექსის სტატუსი, მისი შინაარსი და კონტექსტი, და მისი აღსრულება. სტატუსთან დაკავშირებით ძირითადი დისკუსია ეხებოდა მისი სამართლის ნაწილად ქცევის, თუ დოკუმენტის არასავალდებულო ღირებულებების დეკლარირების ფორმით მიღების საკითხს. სისტემატიზაციის საკითხი მოიცავდა არა მხოლოდ შინაარსის ორგანიზებას, არამედ მის ფორმალურ ინტეგრაციას საქართველოს სამართლებრივ სისტემაში. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ეთიკური ნორმების კოდიფიკაციის მრავალი გზა არსებობდა, საბოლოოდ გადაწყდა, რომ კოდექსის ფორმალურ კანონმდებლობაში ჩართვა გააძლიერებდა მის სანდოობას, უზრუნველყოფდა უფრო მარტივ განხორციელებას და ხელს შეუწყობდა საჯარო მოხელეების მხრიდან მის აღსრულებას. შესაბამისად, საქართველოს ეთიკის კოდექსის მთავრობის დადგენილებით მიღება მიჩნეულ იქნა ყველაზე ეფექტურ მიდგომად, რითაც ეთიკური სტანდარტები გახდა უფრო სამართლებრივი კულტურის ნაწილი.

2. იურიდიული შინაარსი და „რბილი ლექსიკური მექანიზმი“

მას შემდეგ, რაც ეთიკის კოდექსის იურიდიული სტატუსი განისაზღვრა, ყურადღება მის შინაარსზე გადავიდა. დისკუსიები ფოკუსირებული იყო იმაზე, თუ რამდენად კონკრეტული უნდა ყოფილიყო კოდექსი. ის შეიცავს სამ ძირითად თავსა და ოცდაათ მუხლს. ტრადიციული საკანონმდებლო დოკუმენტებისგან ერთადერთი მნიშვნელოვანი გადახვევა არის უფრო რბილი, ადვილად გასაგები ენა. საქართველოს ეთიკის კოდექსი ინარჩუნებს ბალანსს და აერთიანებს ფართო ეთიკურ პრინციპებს, რომლებიც ინტერპრეტაციისთვის ღიაა, და უფრო კონკრეტულ წესებს, განსაკუთრებით ინტერესთა კონფლიქტის, საჯარო რესურსების გამოყენებისა და საჩუქრების პოლიტიკის კუთხით.

საქართველოს ეთიკის კოდექსის შედარებით რბილი და ნაკლებად ლეგალისტური ფორმულირება და სტილი განზრახ იქნა არჩეული რამდენიმე ძირითადი მიზეზის გამო. პირველ რიგში, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ თავიდან აცილებულიყო საჯარო მოხელეებზე სტრესი ან ზეწოლა ქცევის დამატებითი რეგულაციების

შემოღებით. მეორე, მნიშვნელოვანი იყო მინიმუმამდე დაყვანილიყო წინააღმდეგობა და წახალისებინათ საჯარო მოსამსახურეები, ეგრძნოთ თავი იმ საზოგადოების ნაწილად, რომელსაც ახასიათებს ერთგულება, პატივისცემა, ანგარიშვალდებულება, მიუკერძოებლობა და ნეიტრალიტეტი. მესამე, შემოთავაზებულ რბილ ტონს უნდა უზრუნველყო საჯარო მოხელეების ქცევის უფრო რბილი და მათთვის მისაღები გზით წარმართვა.

საქართველოს ეთიკის კოდექსი თავის პრინციპებს სამ ძირითად მიმართულებად ყოფს. პირველი ფოკუსირებულია საჯარო სამსახურის ფუნდამენტურ ღირებულებებზე, მიზნად ისახავს სამსახურის რეპუტაციის ჩამოყალიბებას და საზოგადოების მხრიდან ე.წ. „უნდობლობის აჩრდილის“¹⁹ შემცირებას. ეს ნაწილი ეხმარება მოქალაქეებს და სხვა გარე დაინტერესებულ მხარეებს, როგორცაა სამოქალაქო საზოგადოება და კერძო სექტორი, ირწმუნონ საჯარო სამსახურის ეთიკური სტანდარტები. მეორე მიმართულება კონცენტრირებულია პროფესიულ სტანდარტებზე და სამუშაო გარემოს გაუმჯობესებაზე. ის მიზნად ისახავს საჯარო მოხელეების ქცევისა და დამოკიდებულებების შეცვლას, ხელს უწყობს მათ დაინახონ თავიანთი, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელთა, როლები. ეს ნაწილი ასევე ცდილობს შეცვალოს მრავალწლიანი ტრადიციები და სტერეოტიპები, რომლებიც გავლენას ახდენენ საჯარო მოხელეების გადაწყვეტილებებზე, ცდილობს შეცვალოს როგორც სამუშაო კულტურა, ასევე კლიმატი. მესამე მიმართულება ფოკუსირებულია საჯარო მოხელეების დისკრეციული გადაწყვეტილებების მიღების სტანდარტზე მოქალაქეებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობისას და ხაზს უსვამს საჯარო ინტერესს. ამით ეთიკის კოდექსი ცდილობს გასცდეს ბრძანებების ბრმა მორჩილებასა და რეგულაციებზე დაყრდნობილი ავტომატური გადაწყვეტილებების მიღებას. ამ რბილად ფორმულირებული ჩარჩოს მეშვეობით, საქართველოს ეთიკის კოდექსი მიზნად ისახავს საჯარო სამსახურის კულტურის თანდათანობით შეცვლას.

¹⁹ M. Kaptein, J. Wempe, *Working on Integrity: Differences and Similarities between Public and Private Sector organizations, Integrity at the Public-Private Interface*, Huberts, Heuvel, (eds.), Maastricht, 1999, 114.

3. მარეგულირებელი ჩარჩო აღსრულების მექანიზმის გარეშე

აღსრულება იყო მესამე ძირითადი საკითხი, რომელიც განიხილებოდა პროექტის შემუშავების პროცესში. ეთიკის კოდექსის თავდაპირველი ვერსია გვთავაზობდა შედარებით რბილ აღსრულების მექანიზმს, ეთიკის კომისარს, რომელსაც ექნებოდა პრევენციული რეკომენდატორის როლი. ეს იდეა საბოლოოდ უარყოფილ იქნა ორი ძირითადი მიზეზის გამო. პირველი, ეთიკური სტანდარტების შემოღების სიახლე მთელ საჯარო სამსახურში კულტურულ გამოწვევას წარმოადგენდა. ბევრსაჯარო მოხელეს მიაჩნდა, რომ მათ უკვე ესმოდათ, თუ რას ნიშნავდა ეთიკურად მოქმედება და შესაძლოა წინააღმდეგობა გაენიათ დამატებითი და არასაჭირო „მორალური“ ზედამხედველობის მექანიზმისთვის – რადგან „კარგმა ადამიანებმა“ უკვე იციან, როგორ მოიქცნენ ეთიკურად ყოველგვარი მითითების გარეშე.²⁰ მეორე, პრაქტიკული შეზღუდვები, როგორიცაა პოლიტიკური ნება, შესაბამისი კომპეტენციების კადრები და არასაკმარისი ფინანსური რესურსები, აფერხებდა ეთიკის კომისიებისა თუ კომისიების სახით დამატებით ახალი სუბიექტების შემოყვანას სისტემაში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეთიკის კოდექსის, როგორც ღირებულებითი განზომილების მექანიზმის, მიზანი არასოდეს ყოფილა სადამსჯელო ბერკეტების გამრავალფეროვნება, რაც ისედაც იყო შემოთავაზებული სამართლებრივი სისტემის (კანონმდებლობის) მიერ. ეთიკის, როგორც ღირებულებითი სისტემის საკვანძო კომპონენტის მიზანი, ყოველთვის არის ეთიკურ დილემებთან დაკავშირებით რეკომენდაციებისა და მითითებების მიცემა, ასევე, დეკლარირებული და გაზიარებული ღირებულებების გავრცელებასა და დანერგვაში მხარდაჭერა.

შესაბამისად, საქართველოს ეთიკის კოდექსის მოქმედი ვერსია არ შეიცავს რეპრესიულ აღსრულების მექანიზმს. ეთიკის კოდექსს, ტრადიციული სამართლებრივი აქტისგან განსხვავებით, არ გააჩნია აღსრულების მექანიზმის „ბასრი კბილები“,²¹ რაც მას ნაკლებად

²⁰ S. C. Gilman (სქოლიო 16), 7.

²¹ G. Beselia, The Coordination of Ethics and Law – Developing a Culture of the Rule of Law in Georgian Public Administration, Speyer, 2023, 90.

„საშიშს“ ხდის დისციპლინარული პროცედურის თვალსაზრისით. თუმცა, საჯარო მოხელეებს, რომლებიც არღვევენ ეთიკურ ნორმებს, შეიძლება მაინც დაეკისროთ პასუხისმგებლობა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომელიც არაეთიკურ ქცევას დისციპლინურ გადაცდომად განიხილავს.²² მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საქართველოს საჯარო სამსახურის სისტემაში მაინც არსებობს დისკუსიის სივრცე ეთიკის კოდექსის ჭეშმარიტი ბუნების შესახებ, უნდა განიხილებოდეს თუ არა ის, როგორც სამართლებრივი ინსტრუმენტი, მორალური სახელმძღვანელო პრინციპების ერთობლიობა, თუ უბრალოდ სიმბოლური აქტი ინსტიტუციური ღირებულებების კომუნიკაციისთვის.

4. საჯარო ინტერესის კონცეფცია და ხიდი ღირებულებით სისტემასთან

საქართველოს ეთიკის კოდექსის ერთი გადამწყვეტი ასპექტი არის მისი აქცენტი „საჯარო ინტერესთან“ შესაბამისობაში მყოფ გადანყვეტილებებსა და ქმედებებზე. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული საჯარო მოხელე ვალდებულია იმოქმედოს საჯარო ინტერესის შესაბამისად, არც საქართველოს ეთიკის კოდექსი და არც საჯარო სამსახურის ან ანტიკორუფციული კანონმდებლობა არ განსაზღვრავს მკაფიოდ საჯარო ინტერესს. არც საჯარო სამსახურის რეფორმის ფარგლებში გადააზრებული საჯარო სამსახურის სისტემა თუ, ერთი შეხედვით, სახეცვლილი ორგანიზაციული კულტურა და ახლადშექმნილი ეთიკური ინფრასტრუქტურა აღმოჩნდა საკმარისად მხარდამჭერი საჯარო მოხელეებისათვის, რომ ყოველდღიური რუტინიდან მიღებული, „ავტოპილოტზე“ ჩართული გადანყვეტილებების გააზრება მომხდარიყო „საჯარო ინტერესთან“ მიმართებით. შესაბამისად, საჯარო ინტერესის კონცეფცია, საქართველოს კანონმდებლობაშიც და პრაქტიკაშიც, აბსტრაქტული რჩება.

ეთიკა და ეთიკური დილემები უფრო რთული ხდება საჯარო სამსახურის რეალობაში, რაც ართულებს იმის განსაზღვრას, თუ რა

²² საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, 85-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, ვებგვერდი, 27.10.2015.

არის ეთიკურად „სწორი“ ან „არასწორი“ სხვადასხვა სიტუაციაში. ეთიკის შესახებ სხვადასხვა შეხედულება არსებობს და ეთიკური ქმედებების განსაზღვრა ხშირად დამოკიდებულია პერსპექტივასა და კონტექსტზე. სტივენ კ. ბეილი თავის გავლენიან ნაშრომში „ეთიკა და საჯარო სამსახური“ განიხილავს საჯარო მოხელეების წინაშე მდგარ სამ მნიშვნელოვან მორალურ გამოწვევას. პირველია მორალური ბუნდოვანება, რაც ნიშნავს, რომ ხშირად არ არსებობს ერთი აშკარა „სწორი“ პასუხი რთულ სიტუაციებში, როდესაც ღირებულებები ერთმანეთს ეჯახება. მეორეა პროცედურების პარადოქსი, ანუ წინააღმდეგობა საჯარო სამსახურის მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების მკაცრად დაცვასა და რეალურად სამართლიანი ან ეთიკური შედეგის მიღწევას შორის, რადგან ხანდახან ფორმალობამ შეიძლება ხელი შეუშალოს საჯარო სიკეთის დაცვას. მესამე – არანაკლებ მნიშვნელოვანია კონტექსტის გავლენა, რაც გულისხმობს, რომ ეთიკური გადაწყვეტილებები დიდწილად არის განპირობებული პოლიტიკური გარემოთი, ორგანიზაციული კულტურითა და ინდივიდუალური წნეხით, რაც კიდევ უფრო ართულებს მორალურ არჩევანს.²³

აღნიშნულის გათვალისწინებით, ეთიკის კოდექსის მთავარი მიზანი და დანიშნულება სწორედ ის უნდა ყოფილიყო, რომ შეექმნა საფუძველი, რომელიც საჯარო მოხელეებს მკაცრი სამართლებრივი რეგულაციების მიღმა ღირებულებით განზომილებაში გადაწყვეტილებების მიღებისკენ უბიძგებდა, როგორიცაა, მაგალითად, „მართებული vs. მართებული“ (right vs right dilemma²⁴) დილემები და არ გამხდარიყო კიდევ ერთი აქტი სამართლებრივი სისტემის თაროზე, რომლის აღსრულებაც ფორმალური პროცედურის ნაწილია.

საქართველოში არსებული ლეგალისტური კულტურის პირობებში, კიდევ უფრო რთული ხდება ღირებულებითი არჩევანის გაკეთება. ასეთი სიტუაციები წარმოადგენს ეთიკურ დილემებს, რომლებიც საჭიროებს ფრთხილ განსჯას პირადი კეთილსინდისიერებისა და საზო-

²³ S. K. Bailey, Ethics and the Public Service, Public Administration Review, Vol. 24, № 4, December, 1964, 234-243.

²⁴ P. L. Brousseau, Ethical Dilemmas: Right vs. Right, The Ethics Edge, Ber-
man, West, Bonczek (eds.), Washington D.C., 1998, 39.

გადოებრივი ნდობის შესანარჩუნებლად. საჯარო მოხელეებს ხშირად ექმნებათ სირთულე სწორედ „მართებული vs. მართებული“ დილემებისას, სადაც მათ უნდა დააბალანსონ კონკურირებადი ინტერესები/ღირებულებები, როგორებიცაა კანონიერება ან ადამიანის ღირსება და ადამიანის უფლებები/თავისუფლებები, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა ან საზოგადოებრივი სიკეთე, პირადი ურთიერთობებისა და პროფესიული ვალდებულებების არჩევანი და სხვ. ეთიკის კოდექსი უნდა გამხდარიყო იმ საფუძვლის შემქმნელი, რომელზეც დაშენდებოდა ეთიკური ინფრასტრუქტურა, სადაც საჯარო მოხელეებს რთული ღირებულებით არჩევანისას არ მოუწევდათ კომფორტის ზონიდან ავტომატური და გამზადებული გადაწყვეტილებების მიღება.

მიუხედავად იმისა, რომ ეთიკური სტანდარტების კოდიფიკაციამ სამართლებრივი მექანიზმის მეშვეობით, როგორიცაა საქართველოს მთავრობის დადგენილება, საფუძველი ჩაუყარა ინსტიტუციურ კეთილსინდისიერებას (*Institutional Integrity*), ის მაინც რჩება უფრო ღრმა კულტურული ტრანსფორმაციის ჩანასახოვან ეტაპზე. ეთიკური წესებისა და კოდექსების არსებობა უზრუნველყოფს ფორმალურ სიცხადეს, თუმცა ეთიკური ღირებულებებისა და მასზე დაფუძნებული ქცევის შესანარჩუნებლად მხოლოდ სამართლებრივი ვალდებულებები არ არის საკმარისი. მხოლოდ სამართლებრივი წესები ვერ უზრუნველყოფს სამართლის უზენაესობის დაცვას.²⁵

²⁸ „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონში განხორციელებულ ცვლილებებზე იხილეთ კვლევის მე-5 თავი.

VII. დასკვნა

2024 წლის ბოლოსა და 2025 წლის დასაწყისში „საჯარო სამსახურის შესახებ“ და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონებში შესული ცვლილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ განხორციელებული ცვლილებები ეწინააღმდეგება საჯარო სამსახურის რეფორმის ძირითად მიზანსა და პრინციპებს, მნიშვნელოვნად აზიანებს პოლიტიკურად ნეიტრალური და დამსახურებაზე დაფუძნებული საჯარო სამსახურის სისტემის ჩამოყალიბებას, ზღუდავს საჯარო მოსამსახურეთა უფლებებს და ამცირებს ამავე უფლებების დაცვის სამართლებრივ გარანტიებს.

არსებული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ განხორციელებული ცვლილებები ქმნის ბუნდოვან და არასისტემურ სამართლებრივ რეგულაციებს, განსაკუთრებით საჯარო სამსახურის დეპოლიტიზაციისა და შეფასების სისტემის მიმართულებით. საჯარო სამსახურის დეპოლიტიზაცია იყო რეფორმის ერთ-ერთი ცენტრალური იდეა. ამ ხედვის თანახმად, საჯარო მოხელე უნდა ემსახუროს სახელმწიფოს ინტერესებს და არა კონკრეტულ პოლიტიკურ ძალას. პროფესიული მოხელის სტაბილური სტატუსი მას იცავდა პოლიტიკური გავლენებისგან და აძლევდა დამოუკიდებლობის გარანტიას. ადმინისტრაციული ხელშეკრულების გამოყენება ამ დამოუკიდებლობას საფრთხეს უქმნის. მენეჯერები, რომლებიც დანიშნულნი არიან არა კონკურსის, არამედ დანესებულების ხელმძღვანელის კონკრეტული პოლიტიკური მოცემულობის საფუძველზე, ხდებიან მონყვლადები და, შესაძლოა, იძულებულნი გახდნენ პოლიტიკურად მოტივირებული მითითებები შეასრულონ. ასეთი მიდგომა აჩენს საფრთხეს, რომ საჯარო სამსახური გადაიქცეს პოლიტიკური გავლენის ინსტრუმენტად. გარდა ამისა, კანონის ახალი რეგულაციები ასუსტებს შეფასების მექანიზმს, აფართოებს ჩარევის სივრცეს, ამცირებს უშუალო ხელმძღვანელის ავტონომიას და ზრდის უნდობლობას სისტემის მიმართ. ცვლილებები არის არასისტემური და არ ეფუძნება შეფასების სისტემის ანალიზს, რაც ხელს შეუწყობს სამართლებრივი ნორმის ფართო ინტერპრეტაციისა და ბუნდოვანი და არაერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვას.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში საჯარო დანესებულების რეორგანიზაციის

სამართლებრივი რეგულირების ცვლილებამ არსებითად გაამარტივა საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის პროცესი და გაზარდა დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ მისი რეპრესიულ მექანიზმად გამოყენების რისკი. ამ ცვლილებებმა რეორგანიზაციის გამო შტატების შემცირებისას გათავისუფლებული პროფესიული საჯარო მოხელეები, ფაქტობრივად, დატოვა სახელმწიფოს მხრიდან ინსტიტუციური, ფინანსური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების გარეშე, რამაც საჯარო მოხელეების უფლებების დარღვევის მასშტაბები გაზარდა და ხელისუფლება სრულად გაათავისუფლა ამ დარღვევების გამო დამდგარი პასუხისმგებლობისგან. გარდა ამისა, განხორციელებულმა ცვლილებმა ხელი შეუწყო რეორგანიზაციის საფუძვლით პროფესიული საჯარო მოხელეების რეპრესიული გათავისუფლების პრაქტიკის დამკვიდრებასა და წახალისებას, რასაც 2025 წელს არაერთ საჯარო დაწესებულებაში განხორციელებული რეორგანიზაცია და უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის საჯარო მოხელეების გათავისუფლება მოჰყვა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროფესიული საჯარო მოხელეების ასეთი მასშტაბური გათავისუფლება მომავალში უარყოფითად აისახება საჯარო დაწესებულების საქმიანობის ხარისხზე, რაც ინსტიტუციური მეხსიერების მატარებელი პროფესიონალი კადრების წასვლით იქნება გამოწვეული.

განხორციელებული ცვლილებები მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის საჯარო სამსახურში გრძელვადიან დაგეგმვასა და ინსტიტუციური სტაბილურობის შენარჩუნებას. საჯარო მმართველობის სისტემის გამართული ფუნქციონირება საჭიროებს სტრატეგიულ გეგმებს, ინსტიტუციურ მეხსიერებასა და უწყვეტობას. როცა მენეჯერული რგოლი დამოკიდებულია დროებით სამართლებრივ სტატუსზე და არ გააჩნია პროფესიული დამოუკიდებლობა, უწყებებს ეცლება სტაბილურობის საფუძველი. ეს აფერხებს გრძელვადიანი ხედვის განვითარებას, არღვევს პოლიტიკის განხორციელების თანმიმდევრობას და ქმნის ქაოსურ ცვლილებებზე დამოკიდებულ ორგანიზაციულ გარემოს.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში საჯარო მოსამსახურის და სსიპ-ებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების სამსახურებრივ შეუთავსებლობასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვები შეიძლება შეფასდეს სახელმწიფოს მხრიდან არამართლ-

ზომიერი და არაპროპორციული კონტროლის მექანიზმად, რადგან ვრცელდება საჯარო მოსამსახურის მიერ ნებადართული საქმიანობის არასამუშაო დროს განხორციელებაზეც. აღნიშნული შეზღუდვები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ პიროვნების თავისუფალი განვითარების, აკადემიური და შემოქმედებითი თავისუფლების უფლებებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განხორციელებული ცვლილებები უარყოფით გავლენას მოახდენს საზოგადოების ნდობაზე საჯარო სამსახურის მიმართ. საჯარო სამსახურისადმი საზოგადოებრივი ნდობა არსებითად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აღიქმება თანამდებობებზე დანიშვნისა და დაწინაურების პროცესები. როდესაც საზოგადოება ხედავს, რომ საჯარო პოზიციებზე მოხვედრა დამოკიდებულია არა კომპეტენციასა და დამსახურებაზე, არამედ პოლიტიკური კავშირებზე ან არაკონკურენტულ გადაწყვეტილებებზე, ეს მნიშვნელოვნად აზიანებს ინსტიტუციურ რეპუტაციას. ამ პროცესს ემატება შიდა ფაქტორიც – საჯარო მოხელეები, რომლებიც წლების განმავლობაში ემსახურებიან სახელმწიფოს და იღებენ მონაწილეობას რთულ და პასუხისმგებლობით სავსე პროცესებში, კარგავენ პროფესიულ ღირსებას, როცა უყურებენ უსამართლო პრაქტიკებს. ეს იწვევს საჯარო სამსახურიდან ტალანტების გადინებას და მენეჯერული რგოლის დასუსტებას, რაც, საბოლოოდ, საჯარო სამსახურის რეფორმის წარუმატებლობას გამოიწვევს.

სალომე სიგუა*

კონფიდენციალურობა და პერსონალური მონაცემები: უფლებრივი განსხვავება და სამართლებრივი ანალიზი

I. შესავალი	85
II. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების სამართლებრივი საფუძვლები	86
1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია	89
2. ევროპის კავშირის ქარტია ძირითადი უფლებების შესახებ – პერსონალურ მონაცემთა დაცვა, როგორც დამოუკიდებელი ფუნდამენტური უფლება	95
3. სასამართლო პრაქტიკა	97
III. ზღვარი და განსხვავება: კონცეპტუალური და სამართლებრივი შეხედულებები	103
IV. დასკვნა	105

* სამართლის დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მონვეული ლექტორი.

** კვლევა (PHDF-24-6338) განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

I. შესავალი

თანამედროვე ციფრულ რეალობაში, როდესაც ტექნოლოგიების განვითარების შედეგად პირადი ინფორმაცია იოლი წვდომისა და დამუშავების საგანი გახდა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ინდივიდის უფლება პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე. ამ კონტექსტში იკვეთება ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, თუმცა, შინაარსობრივად დამოუკიდებელი უფლება – კონფიდენციალურობის უფლება და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება. ორივე მათგანი ადამიანის ღირსების ფუნდამენტური გარანტიაა და საერთაშორისოდ აღიარებული უფლებების ფარგლებში განიხილება, თუმცა მათ შორის ზღვრის გატარება იურიდიული თვალსაზრისით კვლავაც გამოწვევად რჩება.

ციფრულ ეპოქაში, სადაც პერსონალური ინფორმაციის ნაკადი მუდმივი, მყისიერი და, ხშირად, უხილავია, ინდივიდუალური უფლებების დაცვა სულ უფრო რთული ხდება. ციფრულ ეპოქაში უმეტესწილად ერთმანეთს უპირისპირდება კონფიდენციალურობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ორი უფლება ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, არ შეიძლება სინონიმებად იქნას აღქმული. კონფიდენციალურობის უფლება დიდი ხანია აღიარებულია, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლება, რომელიც დაფუძნებულია ღირსებასა და ავტონომიურობაზე, ხოლო პერსონალურ მონაცემთა დაცვა შედარებით ახალი უფლებაა, რომელიც გაჩნდა, როგორც პასუხი ციფრული ტექნოლოგიებისა და მონაცემთა ბაზაზე ორიენტირებული სისტემების მზარდ ძალაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე-8 მუხლის მიხედვით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (ECtHR) პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება ფართოდ განმარტა, რათა მოეცვა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ასპექტებიც. საპირისპიროდ, ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტიის მე-8 მუხლი პირდაპირ ადგენს პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებას, როგორც კონფიდენციალურობისგან განცალკევებულ და განსხვავებულ უფლებას.

სტატია იკვლევს კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის უფლებებს შორის არსებულ ნიუანსურ კავშირს, აფასებს მათ

სამართლებრივ საფუძვლებსა და პრაქტიკულ შედეგებს და განიხილავს, თუ როგორ ეკიდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნული უფლებების გადაფარვასა და დიფერენცირებას. ECtHR-ის პრეცედენტული სამართლის დეტალური ანალიზის საფუძველზე, სტატია განმარტავს კონფიდენციალურობასა და მონაცემთა დაცვას შორის არსებულ საზღვრებსა და ურთიერთქმედებას და ასახავს იმ გამოწვევებს, რომლებიც წარმოიქმნება თანამედროვე ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების, სახელმწიფო ინტერესებისა და კომერციული მონაცემთა დამუშავების პრაქტიკის პირობებში.

II. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების სამართლებრივი საფუძვლები

ტრადიციულად, კონფიდენციალურობის კონცეფცია ვრცელდება კომუნიკაციის საიდუმლოებაზე და მოიცავს ტელეფონით, ელექტრონული ფოსტითა და კომუნიკაციის სხვა საშუალებებით გაცვლილი ინფორმაციის დაცვას, მათ შორის ინტერნეტში განთავსებულ პერსონალურ მონაცემებსაც. ამავდროულად, იდენტიფიცირებული ან იდენტიფიცირებადი პირის შესახებ პერსონალური მონაცემების ცნება მოიცავს არა მხოლოდ ტექსტურ მონაცემებს – როგორცაა პირის სახელი, მისამართი, დაბადების თარიღი, პირადობის მოწმობის ნომერი და სატელეფონო ნომერი – არამედ ვიზუალურ და აუდიო-მასალებსაც, მათ შორის ფოტოებს, ვიდეოჩანაწერებსა და ხმის ნიმუშებს, მაშინაც კი, როდესაც ისინი მიღებულია საჯარო სივრცეში. აღნიშნული მონაცემები, რიგ შემთხვევებში, შეიძლება შეიცავდეს კონფიდენციალურ ინფორმაციას პირის ოჯახური ან პირადი ცხოვრების შესახებ. ევროპული სამართლებრივი ჩარჩოს მიხედვით, კონფიდენციალურობა მოიცავს ინდივიდის „პირადი სივრცის“ დაცვას, რომელიც სცილდება მონაცემთა დაცვის ფარგლებს. ამ კონტექსტში, კონფიდენციალურობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც უფრო ფართო და შედარებით დამოუკიდებელი ცნება, ვიდრე მონაცემთა დაცვა, თუმცა მათ შორის შესაძლოა არსებობდეს მნიშვნელოვანი გადაკვეთა და ურთიერთდამოკიდებულება.¹

¹ C. Kuner, An International Legal Framework for Data Protection: Issues and

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს, თუმცა, რეალურად საქმე გვაქვს ორ დამოუკიდებელ უფლებასთან: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, რომელიც ევროპულ სამართალში მოხსენიებულია პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებად, საერთაშორისო სამართალში წარმოიშვა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (UDHR) ფარგლებში 1948 წელს, როგორც ერთ-ერთი ფუნდამენტური და დაცული უფლება. UDHR-ის მიღებიდან მალევე, ეს უფლება აღიარა ევროპამაც, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა კონვენციამ (ECHR), რომელიც 1950 წელს შეიქმნა და ხელმომწერი სახელმწიფოებისათვის სავალდებულო ძალა აქვს. ECHR-ის თანახმად, ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, საცხოვრებელსა და მიმონერას. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად, მნიშვნელოვანი და ლეგიტიმური საჯარო ინტერესების დასაცავად, და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.²

UDHR და ECHR მიღებულია კომპიუტერების, ინტერნეტისა და ინფორმაციული საზოგადოების განვითარებაზე გაცილებით ადრე. ამ მოვლენებმა ადამიანებსა და საზოგადოებას მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანა, გააუმჯობესა ცხოვრების ხარისხი, ეფექტურობა და პროდუქტიულობა, თუმცა, ამავდროულად, ახალი საფრთხეებიც შეუქმნა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას. პერსონალური ინფორმაციის შეგროვებისა და გამოყენების მარეგულირებელი სპეციფიკური წესების საჭიროებამ წარმოქმნა პირადი ცხოვრების ახალი კონცეფცია, რომელიც სხვადასხვა იურისდიქციაში ცნობილია, როგორც „საინფორმაციო პირადი ცხოვრება“ ან „ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება“. კონცეფციამ განაპირობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სპეციალური სამართლებრივი რეგულაციების შემუშავებაც.

Prospects, Computer Law & Security Review, Vol. 25, 2009, 313.

² ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო და ევროპის საბჭო, მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი: სს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, 2018, გვ. 21. ISBN 978-9941-9658-9-0.

პირადი ცხოვრების პატივისცემისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებები მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. ორივე ესწრაფვის მსგავსი ღირებულებების – ადამიანთა დამოუკიდებლობისა და ღირსების – დაცვას. შესაბამისად, აღნიშნული უფლებები ადამიანებს ანიჭებს პერსონალურ სივრცეს, სადაც თავიანთი პიროვნების, აზროვნებისა და შეხედულებების თავისუფლად განვითარება და ფორმირება შეუძლიათ. ამრიგად, აღნიშნული ორი უფლება მნიშვნელოვანი წინაპირობაა სხვა ისეთ ფუნდამენტურ უფლებათა განხორციელებისთვის, როგორიცაა გამოხატვის თავისუფლება, მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების უფლება, რელიგიის თავისუფლება და ა.შ.

პერსონალურ მონაცემთა დაცვა თანამედროვე და აქტუალურ უფლებად მიიჩნევა,³ რომელიც ქმნის კონტროლისა და დაბალანსების სისტემას პიროვნების დასაცავად პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესში. დამუშავება უნდა აკმაყოფილებდეს ასეთი მონაცემების დაცვის ძირითად კომპონენტებს, კერძოდ, მოთხოვნებს დამოუკიდებელი ზედამხედველობისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებათა პატივისცემის შესახებ.⁴

პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება წარმოადგენს ინდივიდის უფლებას, თავად აკონტროლოს მის შესახებ შეგროვებული, დამუშავებული და გადაცემული ინფორმაცია. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული უფლება ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებშიც განიხილება, ის ცალკე დეტალიზებულია 1981 წლის ევროპის საბჭოს კონვენციაში №108 („პირადი ხასიათის მონაცემთა ავტომატური დამუშავებისას ინდივიდების დაცვის შესახებ“) და ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია (GDPR).

³ გენერალური ადვოკატი ელენაორ შარპსტონი ამ საქმეს ორ განსხვავებულ უფლებას უკავშირებდა – პირადი ცხოვრების დაცვის „კლასიკურ“ და მონაცემთა დაცვის „თანამედროვე“ უფლებებს. იხ. Opinion of Advocate General Sharpston, Joined Cases C-92/09 and C-93/09, Volker und Markus Schecke GbR and Hartmut Eifert v. Land Hessen, [2010] ECR I-11063, §71.

⁴ P. Hustinx, EU Data Protection Law: the Review of Directive 95/46/EC and the Proposed General Data Protection Regulation, <https://www.edps.europa.eu/sites/default/files/publication/14-09-15_article_eui_en.pdf> [26.08.2025].

1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

UDHR-ის მე-12 მუხლი, რომელიც პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემას შეეხება, პირველი საერთაშორისო ინსტრუმენტია, რომლითაც დადგინდა, რომ ადამიანს აქვს უფლება, საკუთარი პირადი სივრცე დაიცვას სხვისი, განსაკუთრებით კი სახელმწიფოს ჩარევისგან. UDHR-ს სავალდებულო იურიდიული ძალა არ გააჩნია, თუმცა, აქვს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური ინსტრუმენტის მნიშვნელოვანი სტატუსი, რომელმაც გავლენა მოახდინა ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტების შექმნაზე ევროპაში.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად, პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების დარღვევის შემთხვევები განიხილება კონვენციის მე-8 მუხლის კონტექსტში, რომელიც უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას. მე-8 მუხლით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების დაცვა თავდაპირველად ფოკუსირებული იყო საჯარო ხელისუფლების ჩარევისგან დაცვაზე, კერძო სფეროში შესაძლო დარღვევების გამოტოვებით. მიუხედავად იმისა, რომ მე-8 მუხლი ითვალისწინებდა სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებას და, შესაბამისად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა თავდაპირველად ინდივიდებს სახელმწიფოსთან ურთიერთობაში ნეგატიურ თავისუფლებას ანიჭებდა, სასამართლომ შემდგომში გადაუხვია კონვენციის ავტორების სანყის ფოკუსს სახელმწიფოებისთვის როგორც პოზიტიური ვალდებულებების, ასევე, პირებისთვის პოზიტიური თავისუფლების აღიარებით.⁵

პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება თავდაპირველად არ იყო შეტანილი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ტექსტში, როგორც დამოუკიდებელი უფლება. უფრო მეტიც, კონვენცია თავიდანვე არ აღიქმებოდა, როგორც პერსონალური მონაცემების ადეკვატური დაცვის ინსტრუმენტი, რადგან ეს უკანასკნელი განვითარდა კონვენციის მიღების შემდეგ და შემდგომ განვითარდა ამ სფეროს მარეგულირებელი სპეციალური საერთაშორისო აქტები. მიუხედავად

⁵ B. Van der Sloot, Privacy as Human Flourishing: Could a Shift Towards Virtue Ethics Strengthen Privacy Protection in the Age of Big Data? *Journal of Intellectual Property, Information Technology and Electronic Commerce Law*, Vol. 5, Issue 3, 2014, 230-231.

ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა კონვენციამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მონაცემთა დაცვის კონცეფციის ევოლუციაში პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების ფართო ინტერპრეტაციის მიწოდებით და კონვენციის მე-8 მუხლის საზღვრების განსაზღვრით. მრავალმხრივი ხასიათის გათვალისწინებით, ცხადია, რომ კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით პირადი ცხოვრება „ფართო ტერმინია, რომელიც ამომწურავ განმარტებას არ ექვემდებარება“.⁶ ამ მხრივ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი მხოლოდ პირადი ცხოვრების უფლებასთან მჭიდრო კავშირში განიხილებოდა. ამიტომ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სტაბილურად ავითარებდა პირადი ცხოვრების უფლების ფარგლებს და პატივისცემით განმარტავდა⁷ პერსონალური მონაცემების დაცვის სხვადასხვა ასპექტს.

თუმცა, მხოლოდ 1978 წელს საქმეზე *ტირერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მიიღო სასამართლომ ცოცხალი ინსტრუმენტის დოქტრინა, რაც გულისხმობს, რომ „კონვენცია არის ცოცხალი ინსტრუმენტი, რომელიც უნდა განიმარტოს დღევანდელი პირობების გათვალისწინებით“.⁸ ტირერის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, სასამართლომ პირველად აღიარა, რომ კონვენციის დებულებები დინამიკურად უნდა იქნას განმარტებული და ასახავდეს ცვალებადი გარემოს მიმდინარე რეალობას, გამოწვევებსა და საფრთხეებს. ამ მიზეზების გამო, კონვენციაში ჩამოთვლილი უფლებები და თავისუფლებები, რათა იყოს „პრაქტიკული და ეფექტური და არა თეორიული და ილუზორული“, არ უნდა ჩაითვალოს ამონურულად.⁹ ცოცხალი ინსტრუმენტის დოქტრინამ, პირველ რიგში, გავლენა მოახდინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დებულებებზე. კონვენციის ფარგლებში სასამართლოს მიერ ახალი უფლებებისა და თავისუფლებების მიღებისას მთავარი მითითების ფუნქციის შესრულების შემდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლმა შემდგომში გააფართოვა მისი მოქმედების

⁶ Peck v. the United Kingdom, [2003] ECHR (Appl. No. 44647/98).

⁷ Bărbulescu v. Romania, [2017] ECHR (GC, No. 61496/08).

⁸ Tyrer v. the United Kingdom, [1978] ECHR (Ser. A) No. 26, § 31.

⁹ Airey v. Ireland, [1979] ECHR (Ser. A) No. 32, § 24.

სფერო და უზრუნველყო მონაცემთა დაცვის უფლებაც.¹⁰

მიუხედავად იმისა, რომ მონაცემთა დაცვის უფლება ყოველთვის დაკავშირებულია იდენტიფიცირებული ან იდენტიფიცირებადი პირის შესახებ ინფორმაციასთან, პირადი ცხოვრების უფლება აუცილებლად არ მოიცავს მას. თუმცა, პირადი ცხოვრების უფლება უფრო ფართო პერსპექტივაა, რომელიც მოიცავს უფლებებისა და ღირებულებების ერთობლიობას, მათ შორის უფლებას, რომ მარტო არ იყო, ინტიმურობას, ავტონომიას, პიროვნულობას და ა.შ.¹¹ ასევე აღსანიშნავია, რომ მონაცემთა დაცვის ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე პირადი ცხოვრების ფარგლები, რადგან ის მოიცავს არა მხოლოდ იდენტიფიცირებული პირის შესახებ ინფორმაციას, არამედ იდენტიფიცირებადი პირის შესახებ ყველა ინფორმაციას, რაც მოიცავს ინფორმაციის საკმარისად ფართო სპექტრს.

კიდევ ერთი განსხვავება ეხება კერძო მხარეების პასუხისმგებლობას: მიუხედავად იმისა, რომ პირადი ცხოვრების უფლება ძირითადად ეხება საჯარო ხელისუფლების ვალდებულებებს, არ ჩაერიოს და მიიღოს კანონები პირებს შორის ურთიერთობების უზრუნველსაყოფად, მონაცემთა დაცვის უფლება საკმაოდ იდენტურ ვალდებულებებს აკისრებს როგორც ხელისუფლებას, ასევე კერძო მხარეებს, როგორცაა, მაგალითად, დამსაქმებლები ან მომსახურების მიმწოდებლები.¹² გარდა ამისა, მონაცემთა დაცვის უფლება პირებს სთავაზობს მეტ კონტროლს სხვადასხვა ტიპის მონაცემებზე, ვიდრე პირადი ცხოვრების უფლება. ამგვარად, პერსონალური მონაცემების დაცვა უნდა განიხილებოდეს, როგორც უფლება, რომელიც დიდწილად ემთხვევა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას და, ამავე

¹⁰ B. Van der Sloot, Privacy as Personality Right: Why the ECtHR's Focus on Ulterior Interests Might Prove Indispensable in the Age of "Big Data", Utrecht Journal of International and European Law, Vol. 31, Issue 80, 2015, 39-40.

¹¹ M. Tzanou, Data Protection as a Fundamental Right Next to Privacy? "Reconstructing" a not so New Right, International Data Privacy Law, Vol. 3, Issue 2, 2013, 89-93.

¹² J. Kokott, C. Sobotta, The Distinction Between Privacy and Data Protection in the Jurisprudence of the CJEU and the ECtHR, International Data Privacy Law, Vol. 3, Issue 4, November 2013, 224-226.

დროულად, უზრუნველყოფს ფიზიკური პირებისთვის დამატებით, განსხვავებულ სარგებელს. პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას სასამართლო სათანადო მნიშვნელობას ანიჭებს იმას, იდენტიფიცირებულია თუ არა პირი.

ცნება “privacy” (კონფიდენციალურობა, პრივატულობა, პირადი სივრცე) ხშირად გამოიყენება საუბარში, ასევე, ფილოსოფიურ, პოლიტიკურ და სამართლებრივ დებატებში, თუმცა, მისი ერთიანი განსაზღვრება არ არსებობს. ამ ცნებას ფართო ისტორიული ფესვები გააჩნია სოციოლოგიურ და ანთროპოლოგიურ ჭრილში. პირადი ცხოვრების უფლება უზრუნველყოფს ინდივიდის შესაძლებლობას, ჩამოაყალიბოს და განავითაროს საკუთარი იდეები საჯარო განხილვისგან დამოუკიდებლად; იგი აძლევს პიროვნებას საშუალებას, მოიხსნას „საჯარო ნილაბი“ და კერძო სივრცეში გამოხატოს თავი განსხვავებული ფორმით. ამასთანავე, აღნიშნული უფლება ქმნის შესაძლებლობას, ინდივიდმა დაამყაროს და განავითაროს ისეთი ურთიერთობები, რომლებიც ეფუძნება არჩევანის თავისუფლებას – კერძოდ, ვისთან იზიარებს იგი პირად შეხედულებებსა და ემოციებს. ეს უფლება ფესვგადგმულია ადამიანური ღირსების პრინციპში და მის პატივისცემაში. „პირადი სივრცის“ შინაარსი და საზღვრები განსხვავდება კონტექსტისა და გარემოებების მიხედვით, რაც მას დინამიკურ და ევოლუციურ ხასიათს ანიჭებს. მრავალ სამართლებრივ სისტემაში აღნიშნული კონცეფცია ხშირად ერევა მონაცემთა დაცვის იდეასთან, რის შედეგადაც კონფიდენციალურობა გაიგება მხოლოდ, როგორც პერსონალური ინფორმაციის მართვა. მიუხედავად ამისა, კონფიდენციალურობა წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას თანამედროვე ეპოქაში და არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ინფორმაციული განზომილებით. პირადი ცხოვრების უფლება გაცილებით ფართოა – იგი მოიცავს ადამიანის შესაძლებლობას, თავად განსაზღვროს საკუთარი ცხოვრების სივრცე და დაცულობა როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ და ურთიერთობით განზომილებებში. მაგალითად, ურთიერთობა მშობელსა და შვილს შორის პირადი ცხოვრების ფარგლებში ექცევა, თუმცა მას ინფორმაციული კატეგორია არ გააჩნია.¹³

¹³ J. Marshall, *Personal Freedom through Human Rights Law?* Leiden, Boston, 2009, 50.

პირადი ცხოვრების უფლება ფართო სფეროა, იგი მოიცავს აზრის ქონის თავისუფლებას, საკუთარ სხეულზე კონტროლის, საცხოვრისში განმარტოების, საკუთარ ინფორმაციაზე კონტროლის, საკუთარი რეპუტაციის დაცვის შესაძლებლობას, თვალთვალისგან დაცვის მექანიზმებს. პირადი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებით, მისი ამომწურავი დეფინიციის განსაზღვრა სირთულეს წარმოადგენს როგორც ფილოსოფოსი, ისე იურისტი მეცნიერებისათვის.¹⁴ მეტი თვალსაჩინოებისთვის, პირადი ცხოვრების უფლებაში შემავალი საკითხების აღქმის მიზნით, აუცილებელია მოვიშველიოთ ავსტრიელი მეცნიერის, ლუდვიგ ვიტგენშტეინის, მოსაზრება „ოჯახური მსგავსების“ თაობაზე. მაგალითად, ოჯახის წევრებს ახასიათებთ მეტ-ნაკლებად საერთო თვისებები და ნიშნები ერთმანეთის მიმართ, როგორიცაა აღნაგობა, ხასიათი, თვალის ფერი და ა.შ.¹⁵

პირადი ცხოვრების უფლების ფარგლები მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვადასხვა სოციალურ წრეში და, შესაბამისად, მას ცვალებადი და კონტექსტზე დამოკიდებული შინაარსი აქვს. აღნიშნული უფლება არ წარმოადგენს სტატიკურ კატეგორიას – მისი გაგება და საზღვრები იცვლება სოციალური, კულტურული და ისტორიული განვითარების შესაბამისად. ამ დინამიკური ბუნებიდან გამომდინარე, პირადი ცხოვრების უფლების ერთიანი, უნივერსალური განსაზღვრა ურთულეს ამოცანად რჩება.¹⁶ ამასთანავე, თავად პირადი ცხოვრების ბუნებიდან გამომდინარე, მისი საზღვრების მკაცრი და ფორმალური განსაზღვრა შესაძლოა უკუშედეგიანი აღმოჩნდეს, ვინაიდან ეს საფრთხეს შეუქმნის უფლების არსობრივ დაცვას და შეამცირებს მის ადაპტაციის შესაძლებლობას საზოგადოებრივი ცვლილებების პირობებში.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციაში აღნიშნული უფლება ჩამოყალიბებულია ორ პუნქტად: პირველი პუნქტი ადგენს უფ-

¹⁴ D. J. Solove, Conceptualizing Privacy, California Law Review, Vol. 90, 2002, 1088.

¹⁵ კ. გოშაძე, პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და დამუშავების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები, თბილისი, 2017.

¹⁶ D. V. S. Kasper, The Evolution (or Devolution) of Privacy, Sociological Forum, Vol. 20, №1, 2005, 69-70.

ლებებს, რომლებითაც პირები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილი (პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრებელი და მიმოწერა), ხოლო მეორე პუნქტი ითვალისწინებს აღნიშნული უფლების მიზანშეწონილ შეზღუდვას საჯარო ხელისუფლების მიერ.¹⁷

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში კოსტელო-რობერტსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ აღნიშნა, რომ პირადი ცხოვრება ფართო კონცეფციაა, რომელიც არ ექვემდებარება ამომწურავ განსაზღვრებას,¹⁸ თუმცა, აღსანიშნავია, რომ კონვენციის მე-8 მუხლში მოიაზრება პერსონალური მონაცემების მოძიება, შენახვა,¹⁹ თითის ანაბეჭდის ნიმუშის²⁰ დაცულობა, სამედიცინო ჩანაწერებზე წვდომა.²¹ მართალია, კონვენცია პირდაპირ პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებას არ განსაზღვრავს, თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მაშინაც კი, როდესაც პირის პირადი მონაცემები არ არის გამჟღავნებული, თუმცა, გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე მაინც შესაძლებელია მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირება, ეს არის კონფიდენციალურობის უფლების დარღვევა, რომელიც მოიაზრება მე-8 მუხლით დაცულ სფეროში.²²

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება პერსონალური მონაცემების შეგროვებას, შენახვას, დამუშავებასა და გამჟღავნებას ყოველდღიური ცხოვრების სასიცოცხლო ნაწილად აქცევს, რამაც გამოიწვია მონაცემთა დაცვის უფლების გაჩენა. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად კონვენციის ტექსტში ეს არ იყო გათვალისწინებული, მონაცემთა დაცვის უფლებამ თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავა კონვენციის სისტემაში. ამჟამად, მონაცემთა დაცვის უფლება, მიუხე-

¹⁷ Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, Art. 8, Council of Europe Treaty Series No. 5, 1950, 4.

¹⁸ Costello-Roberts v. the United Kingdom, [1993] ECHR (Ser. A) No. 247-C, §36.

¹⁹ Leander v. Sweden, [1987] ECHR (Ser. A) No. 116, §433.

²⁰ S and Marper v. United Kingdom, [2008] ECHR (Appl. Nos. 30562/04 and 30566/04), §116.

²¹ Z v. Finland, [1997] ECHR (Appl. No. 22009/93), §371.

²² W. A. Schabas, The European Convention on Human Rights: A Commentary, Oxford, 2015, 383-384.

დავად იმისა, რომ მჭიდრო კავშირშია პირადი ცხოვრების უფლებასთან, სულ უფრო და უფრო დამოუკიდებელ ადგილებს იძენს.

2. ევროპის კავშირის ქარტია ძირითადი უფლებების შესახებ – პერსონალურ მონაცემთა დაცვა, როგორც დამოუკიდებელი ფუნდამენტური უფლება

ევროკავშირმა, აღიარა რა, რომ მის პოლიტიკას შეიძლება გავლენა ჰქონდეს ადამიანის უფლებებზე, ევროკავშირთან მოქალაქეების „დასაახლოებლად“, 2000 წელს გამოაცხადა „ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის“ შექმნის შესახებ.

ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის მე-8 მუხლი არ შემოიფარგლება მხოლოდ პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებებზე დეკლარირებით, არამედ განსაზღვრავს მის საფუძველში არსებულ ძირითად პრინციპებსა და ღირებულებით ჩარჩოს. ქარტიის დებულებების შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დამუშავება უნდა ხორციელდებოდეს სამართლიანად და კანონის საფუძველზე, მკაფიოდ განსაზღვრული, ლეგიტიმური მიზნებისთვის, იმ პირის თანხმობით, ვის მონაცემებსაც ეხება, ან სხვა კანონიერი საფუძველით, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნულ ან ევროკავშირის კანონმდებლობაში.

მონაცემთა სუბიექტს (data subject) უნდა მიენიჭოს უფლება, ჰქონდეს წვდომა მის შესახებ დამუშავებულ მონაცემებზე, მოითხოვოს მათი გასწორება ან განახლება, ხოლო მონაცემთა დაცვის წესების განხორციელებას უზრუნველყოფდეს ფუნქციურად და ინსტიტუციურად დამოუკიდებელი ზედამხედველი ორგანო.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება აქტუალურია მონაცემთა დამუშავების ყოველი ფორმისა და ეტაპის მიმართ, განურჩევლად იმისა, უკავშირდება თუ არა კონკრეტული მონაცემი პირად ცხოვრებას ან ახდენს მასზე გავლენას. აღნიშნული უფლება კონცეპტუალურად უფრო ფართო შინაარსისაა, ვიდრე პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება, ვინაიდან მოიცავს მონაცემთა დამუშავების პროცესის ყველა ელემენტს – შეგროვებიდან, შენახვიდან და გადაცემიდან, მათი ნაშლის ან ანონიმიზაციის ჩათვლით.²³

²³ Charter of Fundamental Rights of the European Union, art. 8, OJ C 326, 26.10.2012, 397.

ამრიგად, ქარტიის მე-8 მუხლი წარმოადგენს ავტონომიურ და თვითდამკვიდრებულ უფლებრივ გარანტიას, რომლის მოქმედება არ არის დამოკიდებული პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის დადგენაზე. მონაცემთა დამუშავების ნებისმიერი ოპერაცია უნდა ექვემდებარებოდეს სათანადო სამართლებრივ კონტროლს და ტექნიკურ დაცვას, რაც წარმოადგენს ადამიანის ღირსებისა და თვითნებური ჩარევისგან დაცვის განუყოფელ ელემენტს. ქარტია იცავს არა მხოლოდ პირადი და ოჯახური ცხოვრების (მუხლი 7), არამედ პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებასაც (მუხლი 8). ამ უკანასკნელის დაცვას დოკუმენტი ევროკავშირის სამართალში ცალსახად ზრდის ფუნდამენტური უფლების დონემდე. ევროკავშირის ინსტიტუტებმა და ორგანოებმა, ისევე როგორც წევრმა სახელმწიფოებმა, ეს უფლება გარანტირებულად უნდა დაიცვან და პატივი სცენ ევროკავშირის სამართლის პრინციპების დანერგვისას (ქარტიის 51-ე მუხლი). ქარტიის მე-8 მუხლი, რომელიც მონაცემთა დაცვის დირექტივის შექმნიდან რამდენიმე წელიწადში ჩამოყალიბდა, მოიცავს მანამდე არსებულ ევროკავშირის კანონმდებლობას მონაცემთა დაცვის შესახებ. შესაბამისად, ქარტია მკაფიოდ მიუთითებს არა მხოლოდ მონაცემთა დაცვის უფლებაზე (მუხლი 8(1)), არამედ, მათი დაცვის ძირითად პრინციპებზეც (მუხლი 8(2)); დაბოლოს, ქარტიის 88(3) მუხლი ადგენს მოთხოვნას დამოუკიდებელი ორგანოს შესახებ, რომელიც გააკონტროლებს ამ პრინციპების განხორციელებას.

ლისაბონის ხელშეკრულების მიღება მნიშვნელოვანი მოვლენაა მონაცემთა დაცვის სამართლის განვითარებაში: მან ქარტიას სამართლებრივად სავალდებულო ინსტრუმენტის სტატუსი მიანიჭა ძირითადი კანონმდებლობის დონეზე და უზრუნველყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება. ამ უფლებას კონკრეტულად ადგენს ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) მე-16 მუხლი, კერძოდ, ხელშეკრულების იმ ნაწილში, რომელიც ევროკავშირის ზოგად პრინციპებს ეთმობა.²⁴ მუხლი ქმნის ახალ სამართლებრივ საფუძველსაც, რომელიც ევროკავშირს აძლევს მონაცემთა დაცვის საკითხებზე სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავების უფლებამოსილებას. ეს წარმოადგენს არსებითად მნიშვნელოვან მოვლენას, ვინაიდან

²⁴ ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო და ევროპის საბჭო (სქოლიო 2), 34.

ევროკავშირის მონაცემთა დაცვის სამართლებრივი ჩარჩო – განსაკუთრებით კი მონაცემთა დაცვის დირექტივა – თავდაპირველად დაფუძნებული იყო შიდა ბაზრის სამართლებრივ საფუძველზე და მიზნად ისახავდა წევრ სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობების დაახლოებას. აღნიშნული აუცილებლობა განპირობებული იყო იმით, რომ მონაცემთა დაცვის რეგულაციებში არსებული განსხვავებები არ გამხდარიყო დაბრკოლება ევროკავშირის ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა თავისუფალი გადაადგილებისთვის.

3. სასამართლო პრაქტიკა

მიუხედავად იმისა, რომ პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება არ არის ავტონომიური უფლება კონვენციის სხვა უფლებებისგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ პერსონალური მონაცემების დაცვას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს პირის პირადი და ოჯახური ცხოვრების, სახლისა და კორესპონდენციის პატივისცემის უფლებით სარგებლობისთვის, როგორც ეს გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-8 მუხლით.²⁵ სასამართლო თავის გადანყვეტილებებში პერსონალური მონაცემების ცნების განმარტებისთვის იყენებს ევროპის საბჭოს 108-ე კონვენციას²⁶ და ნათლად მიუთითებს, რომ პერსონალური მონაცემების ცნება განისაზღვრება, როგორც „ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ეხება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად პირს“.²⁷

სასამართლო სხვადასხვა გადანყვეტილებაში განმარტავს, რომ მხოლოდ პირდაპირ პიროვნებასთან დაკავშირებული მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის გარდა, როგორიც არის სახელი და გვარი,²⁸

²⁵ Satakunnan Markkinapörssi Oy and Satamedia Oy v. Finland, [2017] ECHR (Appl. No. 931/13), §137; გადანყვეტილება (სქოლიო 21), §95.

²⁶ Amann v. Switzerland, [2000] ECHR (Appl. No. 27798/95), §65.

²⁷ Haralambie v. Romania, [2009] ECHR (Appl. No. 21737/03), §77.

²⁸ Guillot v. France, [1996] ECHR (Appl. No. 22500/93), §§21-22; Mentzen v. Latvia, [2004] ECHR (Appl. No. 71074/01); Güzel Erdagöz v. Turkey, [2008] ECHR (Appl. No. 37483/02), §43; Garnaga v. Ukraine, [2013] ECHR (Appl.

პერსონალური მონაცემების უფლების ქვეშ, შესაძლებელია, დაცული იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არაპირდაპირ, თუმცა მაინც უკავშირდება კონკრეტულ პირს.²⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიხედვით, შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ის ნიშნები, რითაც შეიძლება მოხდეს პირის იდენტიფიცირება: ხმის ნიმუშად გამოსაყენებელი ჩანაწერების განხორციელება, რომელიც ხდება მუდმივად და ექვემდებარება სხვა პირების მხრიდან ანალიზს,³⁰ უჯრედული ნიმუშებისა და დნმ პროფილების დამუშავება (მათ შორის, თითის ანაბეჭდები)³¹ ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პირის საბანკო დეტალებს ან ინფორმაცია პროფესიული საქმიანობის შესახებ,³² მონაცემები, რომელიც მოპოვებულია სოციალური ქსელებიდან მიღებული ინფორმაციიდან, კერძოდ, პირადი მიმოწერებიდან,³³ მონაცემები, მოპოვებული ვიდეოთვალთვალის განხორციელებით,³⁴ მონაცემები ინდივიდის დაბადებისა და მიტოვების შესახებ (მათ შორის, ისეთი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა პირის იდენტობისა და წარმომავლობის დასადგენად),³⁵ საქორწინო კონტრაქტში შეტანილი ინფორმაცია, მათ შორის, ქონების აქტივების წილობრივი განაწილება, საცხოვრებელი ადგილისა და ალიმენტის გადახდის პირობები³⁶ და ა.შ.

No. 20390/07), §36; *Henry Kismoun v. France*, [2013] ECHR (Appl. No. 32265/10), §25; *Hájovský v. Slovakia*, [2021] ECHR (Appl. No. 7796/16) §§11-12 and 41.

²⁹ *Benedik v. Slovenia*, [2018] ECHR (Appl. No. 62357/14), §§107-108.

³⁰ *P.G. and J.H. v. the United Kingdom*, [2001] ECHR (Appl. No. 44787/98), §59.

³¹ გადაწყვეტილება (სქოლიო 20), §§70-77.

³² *M.N. and Others v. San Marino*, [2015] ECHR (Appl. No. 28005/12), §51.

³³ *Bărbulescu v. Romania*, [2017] ECHR (Appl. No. 61496/08), §§18, 74-81.

³⁴ *Antović and Mirković v. Montenegro*, [2017] ECHR (Appl. No. 70838/13), §§44-45.

³⁵ *Gaskin v. the United Kingdom*, [1989] ECHR (Ser. A no. 160), §39; *Mikulić v. Croatia*, [2002] ECHR (Appl. No. 53176/99), §§ 54-64; *Odièvre v. France*, [2003] ECHR (Appl. No. 42326/98), §§28-29.

³⁶ *Liebscher v. Austria*, [2021] ECHR (Appl. No. 5434/17), §§ 31 and 68.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან ჩანს, რომ პერსონალური მონაცემების მიმართ მოქმედებები ექცევა კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში იმ შემთხვევაში, თუ: ინფორმაცია გროვდება კონკრეტულ პიროვნებაზე,³⁷ მონაცემები არისმუდმივიდასისტემატურიდამუშავებისსაგანი,³⁸ ანგამოყენებულია ანალიზის პროცესში, იმისათვის, რომ მოხდეს კონკრეტული პირის იდენტიფიცირება.³⁹ დაბოლოს, იმისთვის, რომ ამოქმედდეს მე-8 მუხლი, პერსონალური მონაცემების დამუშავების შედეგებმა უნდა მიაღწიოს გარკვეულ სერიოზულობას და ზიანი უნდა მიაყენოს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებით სარგებლობას.⁴⁰ მაგალითისთვის, საქმეში *ვუჩინა ხორვატიის წინააღმდეგ* განმცხადებელი იყო პირი, რომლის ფოტოც ჟურნალში მცდარი სათაურით გამოაქვეყნეს. სასამართლომ მსჯელობის დროს განმარტა, რომ მცდარი სათაური არ იყო იმ სიმძიმის ჩარევა და არ გამოიწვია ისეთი უხერხულობა საზოგადოებაში, რომ საკმარისი ყოფილიყო კონვენციის მე-8 მუხლის გამოსაყენებლად, შესაბამისად, ჩარევა უფლებაში არ დადგინდა.⁴¹

ფიზიკური პირის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით საინტერესო განმარტება გააკეთა დიდი ბრიტანეთის უზენაესმა სასამართლომ⁴² და აღნიშნა, რომ აუცილებელი არ არის ინფორმაცია პირდაპირ ეხებოდეს ფიზიკურ პირს და მარტივად იყოს იდენტიფიცირებადი, როგორც მონაცემთა სუბიექტი, არამედ, შესაძლებელია, პირი იყოს რომელიმე ჯგუფის ყოფილი ან აქტიური წევრი, ან საზოგადოების მხრიდან ასოცირდებოდეს ჯგუფის წევრად.

პირადი ცხოვრების უფლების შესახებ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვეტილებები, ძირითადად,

³⁷ Amann v. Switzerland, [2000] ECHR (Appl. No. 27798/95), §§66-67; Rotaru v. Romania, [2000] ECHR (Appl. No. 28341/95), §§43-44.

³⁸ Uzun v. Germany, [2010] ECHR (Appl. No. 35623/05), §51.

³⁹ P.G. and J.H. v. the United Kingdom, [2001] ECHR (Appl. No. 44787/98), §57.

⁴⁰ M.L. and W.W. v. Germany, [2018] ECHR (Appl. Nos. 60798/10 and 65599/10), §88.

⁴¹ Vučina v. Croatia, [2019] ECHR (Appl. No. 58955/13), §50.

⁴² Geoffrey Driver v Crown Prosecution Service, [2022] EWHC 2500 (KB).

უფლებათა დაცვის ევროპულ მოდელში არსებული სტანდარტების შემცველია. ერთ-ერთ გადანყვეტილებაში⁴³ სასამართლომ მიიჩნია, რომ „ზოგადად, პირადი ცხოვრება გულისხმობს ინდივიდის ცხოვრებისა და განვითარების კერძო სფეროს. უფლება პირად ცხოვრებაზე კი, ერთი მხრივ, ნიშნავს ინდივიდის შესაძლებლობას, პირადად, საკუთარი შეხედულებისამებრ, დამოუკიდებლად შექმნას და განავითაროს თავისი კერძო ცხოვრება, ხოლო, მეორე მხრივ იყოს დაცული და უზრუნველყოფილი მის კერძო სფეროში სახელმწიფოს, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა პირების ჩარევისგან.“ ნიშანდობლივია, რომ პირადი ცხოვრების ფართო და მრავალმხრივი შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი ზუსტი და ამომწურავი განმარტება. მეტიც, სხვა გადანყვეტილებაში,⁴⁴ სასამართლომ აღნიშნა, რომ „ეს უფლება სასიცოცხლოდ აუცილებელია ადამიანის თავისუფლების, თვითმყოფადობისა და თვითრეალიზაციისათვის, მისი სრულყოფილად გამოყენების ხელშეწყობა და დაცვა არსებითად განმსაზღვრელია დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისთვის.“

რამდენადაც ევროპული კავშირის სამართალი მეტად განვითარებულ დებულებებს შეიცავს მონაცემთა დაცვასთან მიმართებით, არაა გასაკვირი, რომ ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა მრავალფეროვანია. სასამართლომ არაერთხელ მიუთითა ამ უფლების ფუნდამენტურ ხასიათზე. საყურადღებოა ისიც, რომ გადანყვეტილებებში მონაცემთა დაცვის უფლების განხილვა ხდება დამოუკიდებელი სამართლებრივი სიკეთის ჭრილში, მიუხედავად იმისა, რომ მას კავშირი აქვს ადამიანის პირად ცხოვრებასთან. გარდა ამისა, სასამართლოს გადანყვეტილებები მნიშვნელოვნად ახდენს მო-

⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადანყვეტილება საქმეზე №1/3/407 „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ე. ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁴⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის გადანყვეტილება საქმეზე №1/2/519 „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ნაცემთა დაცვის სამართალში არსებული ამა თუ იმ ტერმინის, ასევე, პრინციპებისა და წესების ინტერპრეტაციას. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი მონაცემთა დაცვის ევროპული კავშირის მოდელს იზიარებს, შესაბამისად, მიზანშეწონილია სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილების განხილვა. ევროპული კავშირის ფარგლებში მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით დამკვიდრებული ერთ-ერთი საკვანძო ცნება – „პერსონალური მონაცემი“ – არაერთხელ გახდა განმარტების საგანი. ერთ-ერთ საქმეში⁴⁵ სასამართლო დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომას და განმარტა, რომ პროფესიული სახის ქმედებათა შესახებ ინფორმაციაც კი ექცევა პირადი ცხოვრების დაცული სფეროს ფარგლებში იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია იდენტიფიცირებული ფორმითაა მოცემული.⁴⁶ ზოგადად, სამართლებრივი აქტები არ აკონკრეტებენ, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს პერსონალურ მონაცემად, ისინი ადგენენ რეგულირების ზოგად წესს და პერსონალურ მონაცემს უწოდებენ პირის შესახებ არსებულ ინფორმაციას. ამავე მიდგომას ამკვიდრებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი. მისი მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემი არის: „[...] ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით“. როგორც ვხედავთ, პერსონალური მონაცემი შესაძლოა ყველა ამ ნიშნით გამორჩეული ინფორმაცია აღმოჩნდეს, იმ პირობით, რომ მონაცემები იდენტიფიცირებაუნარიანობის მოთხოვნას აკმაყოფილებს.

⁴⁵ Joined Cases C-92/09 and C-93/09, Volker und Markus Schecke GbR and Hartmut Eifert v. Land Hessen, [2010] ECR I-11063.

⁴⁶ ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო და ევროპის საბჭო (სქოლიო 2), 50, 55.

ECHR-ის პრაქტიკა მკაფიოდ აჩვენებს, რომ კონფიდენციალურობა წარმოადგენს პირად, სივრცობრივ და კორესპონდენციის (**correspondence**) უფლებას, ხოლო პერსონალურ მონაცემთა დაცვა – ინფორმაციის სამართლებრივ კონტროლს. ზღვარი გადის იქ, სადაც პირადი სივრციდან მიღებული ინფორმაცია დამუშავებულია, შენახულია ან დოკუმენტირებულია სისტემურად და მასზე ვრცელდება სამართლებრივი რეგულირება. თუმცა, სასამართლო ყოველთვის იყენებს ერთიანი მე-8 მუხლის სტანდარტების ტესტს – კანონის მარეგულირებელი ხასიათის, ლეგიტიმური მიზნის და პროპორციულობის შეფასების საფუძველზე.⁴⁷

სასამართლოს იურისპრუდენცია ასახავს მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს, განსაზღვრავს მონაცემთა დაცვის უფლების ფარგლებს, მის კატეგორიებს და რომელი ოპერაციები წარმოადგენს მონაცემთა დამუშავებას. სწორედ ევოლუციური დოქტრინა აძლევს სასამართლოს უფლებამოსილებას, განსაზღვროს მონაცემთა დაცვის ფარგლები სწრაფი ტექნოლოგიური განვითარების გათვალისწინებით, ხოლო ხელმისაწვდომობისა და განჭვრეტადობის დოქტრინა წარმოადგენს მონაცემთა სუბიექტების უფლებების, ასევე, მონაცემთა დაცვის ძირითადი პრინციპების სასამართლო ინტერპრეტაციის საფუძველს. თუმცა, გარკვეული მოსაზრება ჩნდება კონფიდენციალურობის გონივრული მოლოდინებისა და მონაცემთა დაცვის განსხვავებული წესების დაბალანსებისას. მიუხედავად იმისა, რომ კონფიდენციალურობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებები მნიშვნელოვნად ემთხვევა ერთმანეთს, ისინი მაინც არ უნდა ჩაითვალოს პრაქტიკულად იდენტურად. სასამართლოს ბოლოდროინდელი პრეცედენტული სამართლიდან აშკარაა, რომ ამ ორ უფლებას შორის განსხვავება არსებობს და სასამართლოს როლია მონაცემთა დაცვის კონკრეტული, განსხვავებული მოთხოვნების უზრუნველყოფა.

⁴⁷ Guide on Article 8 of the European Convention on Human Rights, ECtHR, 28 February 2025, 7, <https://ks.echr.coe.int/documents/d/echr-ks/guide_art_8_eng> [16.11.2025]; Zakharov v. Russia, [2015] ECHR (Appl. No. 47143/06), §159.

III. ზღვარი და განსხვავება: კონცეპტუალური და სამართლებრივი შეხედულებები

კონფიდენციალურობის უფლება მოიცავს ფართო სპექტრს – მათ შორის, ადამიანის ცხოვრების ისეთი ასპექტების დაცვას, როგორებიცაა პირადი ურთიერთობები, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური კავშირები ან ცხოვრების წესი. ეს უფლება მიმართულია პირადი სივრცის დაცვისკენ, მაშინ როდესაც პერსონალური მონაცემების დაცვა ფოკუსირებულია ინფორმაციულ კონტროლზე – ვინ აგროვებს, როგორ ამუშავებს და რა მიზნებისთვის იყენებს კონკრეტული პირის შესახებ მონაცემებს. კონფიდენციალურობა უფრო შინაარსობრივია და ეხება პირის ცხოვრების არსებით მხარეებს. მონაცემთა დაცვა ტექნიკურ-იურიდიული ინსტრუმენტია, რომელიც ითვალისწინებს ინფორმაციის დამუშავების პროცესის სამართლებრივ რეგულირებას.

მაგალითად, თუ საჯარო სივრცეში განხორციელებული ვიდეო-დაკვირვება შეეხება პირის გადაადგილების მონიტორინგს, ეს შეიძლება განიხილებოდეს კონფიდენციალურობის დარღვევად. თუმცა, თუ აღნიშნული ვიდეომასალა ინახება, კატეგორიზდება და გამოიყენება შემდგომი ანალიზისთვის, მაშინ უკვე პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან გვაქვს საქმე.

კონფიდენციალურობის უფლება ფორმალურად გარშემორტყმულია ადაპტაციით, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების თავისუფალ განსაზღვრებას იმაზე, თუ რომელი ასპექტები მისი ცხოვრების უნდა გახდნენ ღია ან დაცული მესამე მხრიდან. აღნიშნული უფლება მოიცავს არა მხოლოდ მონაცემთა დამუშავების ფაქტს, არამედ ინტიმურ სივრცეში ჩარევას – პირველადი ავტონომიური სივრცის შეზღუდვას, როგორიცაა ფარული ვიდეოთვალთვალი, აუდიოჩანაწერი ან მიმოწერის წაკითხვა. შესაბამისად, სახელმწიფო უფლებამოსილებების ან კერძო სუბიექტების მიერ განხორციელებულმა ნებისმიერმა ჩარევამ, მონაცემთა „დამუშავების“ ფორმის გარეშე, შეიძლება გამოიწვიოს უფლების დარღვევა, თუ იგი არ შეესაბამება იმ სტანდარტებს, რომლებიც გათვალისწინებულია კონვენციის მე-8 მუხლით.⁴⁸ სა-

⁴⁸ Guide on Article 8 of the European Convention on Human Rights, ECtHR, 28 February 2025, <https://ks.echr.coe.int/documents/d/echr-ks/guide_art_8_eng> [16.11.2025].

ხელმძღვანელო დებულებების მიხედვით, ნებისმიერი ჩარევა კონფიდენციალურობის უფლებაში (negative obligation) უნდა იყოს (ა) კანონით დადგენილი, (ბ) ლეგიტიმურ მიზანს ემსახურებოდეს (გ), უნდა იყოს ნაკლებ შემზღუდავი (დ) პროპორციული დემოკრატიული საზოგადოების მოთხოვნებთან მიმართებით.⁴⁹

პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება ფოკუსირებულია ინდივიდის ინფორმაციული დამოუკიდებლობისა და კონტროლის უზრუნველყოფაზე. ეს უფლება გულისხმობს, რომ თითოეულ პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა განსაზღვროს, როგორ გამოიყენება მის შესახებ არსებული მონაცემები, ვინ იღებს მათ, რომელ პროცესებს ექვემდებარება და რა სამართლებრივი ნორმებით რეგულირდება მათი მოპოვება, შენახვა, გადაცემა ან სხვა გამოყენება. იგი წარმოადგენს სამართლებრივ და ადმინისტრაციულ მექანიზმს, რომელიც იცავს პიროვნებას ნებისმიერი ჩარევისგან მონაცემთა დამუშავების პროცესში, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის უსაფრთხოებას და კანონის დაცვას.⁵⁰ ასევე მნიშვნელოვანია, რომ მონაცემთა დამუშავება შეიძლება შეეხოს ისეთ ინფორმაციას, რომელიც, იმის მიუხედავად, ხომ არ არის კლასიკურად ინტიმური ან „პირადი“ (მაგალითად: იდენტიფიკატორები, ბიომეტრია, ქულები, მზა ჩანაწერები), ექვემდებარება მკაცრ სამართლებრივ რეგულაციას – რაც ხაზს უსვამს პერსონალური მონაცემების დაცვის ავტონომიურ ხასიათს.

ამგვარად, ამ ორ უფლებას შორის განსხვავება შეზღუდული არ არის მხოლოდ არსებით საერთო სივრცეზე – ისინი ემყარებიან განსხვავებულ ლოგიკასა და სამართლებრივი დაცვის პრინციპებს: ერთია პირადი ცხოვრების და კომუნიკაციების ეკოსისტემის დაცვა, მეორე კი – ინფორმაციის სამართლებრივი წონისა და პროცესების კონტროლი. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, მსჯელობა უნდა

⁴⁹ Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, Art. 8, Council of Europe Treaty Series No. 5, 1950, 4.

⁵⁰ Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the protection of natural persons with regard to the processing of personal data and on the free movement of such data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation) (Text with EEA relevance), OJ L 119, 4.5.2016, pp. 1–88, Recital 39.

